პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური და ტფ. კომიტეტების და ცაკის ორგანო

ოთხშაბათი, 18 მარტი 1936 წ. № 64 (4523)

მხურვალე სალამი საბჭოთა აჭარის მშრომელ ხალხს

XV

საბჭოთა აჭარა

ბევრი სისხლიანი ტრაგედიის მომსწრეა მუდამ მწვანე აჭარის ლამაზი ტყე-გორაკები. სამნახევარ საუკუნეს პარპაშებდნენ აქ მრისხანე სულთნის ველური ურდოები. ნახევარ საუკუნეზე მეტს თარეშობდნენ ამ მხარეში რუსეთის მეფის კოლონიზატორი გუბერნატორები. და უკანასკნელად —3 წლიწადს გრძელდებოდა მენშევიკური ჯალათების სისხლიანი ვაკხანალია.

აჭარის მშრომელმა ხალხმა გმირულად გადიტანა დამპყრობელთა ბარბაროსობის ათასგვარი საშინელება. 1921 წლის 18 მარტს სამუდამოდ მოეღო ბოლო აჭარის ხალხის აწიოკებას. ამ წელს აჭარის მშრომელებმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით სამუდამოდ მოიშორეს და შავ ზღვაში გადისროლეს მენშევიკური მოძალადენი. 1921 წლის 18 მარტს გაიმარჯვა ბათომში ოქტომბრის რევოლუციის უძლეველმა დროშამ.

ბათომის პროლეტარიატს ბევრი სახახელო ფურცელი ჩაუწერია ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლისა და საერთოდ რევოლუციური მოძრაობის ისტორიაში. ბათომის სახელოვანი მუშების ეს ბრძოლა მტკიცედ არის დაკავშირებული დიდი სტალინის სახელთან. აქ, ბათომის გარეუბანში, ბარცხანასა და ორთაბათომში რაზმავდა და წვრთნიდა ახალგაზრდა სტალინი მანთაშევის, ნობელისა და როტშილდის ქარხნების მებრძოლ მუშებს. სტალინის უშუალო ხელმძღვანელობით ამხედრებულ ბათომის პროლეტარიატის რისხვა არაერთხელ დასტეხია თავს მეფის პოლიციას და ჟანდარმერიას.

რა უზარმაზარი და ღირსშესანიშნავი ნაყოფი გამოიღო ამ ბრძოლამ! სადღაა ახლა ძველი, მეშჩანური ბათომი თავისი ყავახანებითა და პროვინციონალი მონარლეებით? ბათომი ახლა განახლებული აჭარის კულტურული, ეკონომიური და სამრეწველო ცენტრია. როტშილდ-ნობელების უზადრუკ საწარმოთა ადგილას ახლა მანქანათმშენებლობის, მსუბუქი და კვების მრეწველობის გიგანტები ჩამწკრივებულან. ორთაბათომის დაბლობში კი გადაშლილია მთელი საბჭოთა კავშირის სიამაყე — ნავთის გადამმუშავებელი კრეკინგ-ქარხნები, რომლებიც, ყოველწლიურად 100 მილიონ მანეთზე მეტ შემოსავალს აძლევენ ჩვენს სოციალისტურ სამშობლოს.

ამ თხუთმეტი წლის მანძილზე აჭარის სოფელმა მთლიად იცვალა სახე. გიგანტური ეკონომიური და კულტურული წინსვლის საფუძველზე სამუდამოდ ბოლო ეღება ცრუმორწმუნეობრივი ფანატიზმის ველურ ნაშთს. ბეგების, ხოჯებისა და მოლების ალაგმვამ საშუალება მისცა აჭარის მშრომელ ხალხს დასწაფებოდა სწავლა-განათლებას და მძლევის ნაბიჯით წაეწია წინ სოციალისტური მიწათმოქმედება. 246 კოლმეურნეობაში გაერთიანებული გლეხური მოსახლეობა წარმატებით აშენებს შეძლებულ, კულტურულ, ბედნიერ ცხოვრებას.

სოფლის მეურნეობის დიდი წინსვლის უცილაზე თვალსაჩინო მაგალითს იძლევა სუბტროპიკულ კულტურათა განვითარება. მემამულეების და საუფლისწულო უწყების თითო ოროლა პლანტაციის ნაცვლად აჭარაში ახლა თვალუწვდენელ მანძილზე გადაშლილია ისეთი ძვირფასი კულტურები, როგორიცაა ჩაი, მანდარინი, ლიმონი, ფორთოხალი. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე აჭარაში გაშენებული იყო ჩაი 805 ჰექტარზე, ციტრუსები 260 ჰექტარზე; ახლა — იქ ჩაი 4300 ჰექტარზე მეტია, ხოლო ციტრუსები 2000 ჰექტარამდე აღწევს.

ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის წარმატებასთან ერთად გაიფურჩქნა და აყვავდა აჭარის კულტურა, ფორმით ნაციონალური, ხოლო შინაარსით სოციალისტური. რელიგიური ფანატიზმის დამნერგავ მეჩეთებისა და მედრესეების ადგილი დაიჭირა დაწყებითმა, საშუალო, სპეციალურმა და უმაღლესმა სასწავლებლებმა. აჭარას ახლა ჰყავს თავისი ინტელიგენცია, კულტურულ ფრონტის კვალიფიციური მუშაკები, მწერლები, მსახიობები, პედაგოგები, — აგრეთვე ინჟინრები, აგრონომები, ექიმები. საქართველოს მფრინავ ქალთა რიგებს ამშვენებს პილოტი აჭარელი გოგონა ფადიმე გოგიტიძე. საკოლმეურნეო მინდვრებზე პირველობენ სტახანოველი კოლმეურნეები—ახმედ მახარაძე, დურსუნ ნაკაშიძე, თუნთულ კვესიეშვილი, აიშე მაჩუტაძე, მარიკა ფუნდუკიძე და კიდევ მრავალნი სხვანი.

საბჭოთა აჭარა, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი დღიდანვე დაადგა ნამდვილი აყვავების გზას, განსაკუთრებით დაწინაურდა ამ უკანასკნელი 4-5 წლის განმავლობაში. უკანასკნელად აჭარის პარტიული ორგანიზაცია ვადაზე და გადაჭარბებით ასრულებს ყოველგვარ სახელმწიფო დავალებას. ამ გამარჯვებებმა თავისი გამოხატულება ჰპოვა აჭარის ხელმძღვანელი მუშაკების, ამხ. არ. გეურქოვის და ზ. ლორთქიფანიძის ლენინის ორდენით დაჯილდოვებაში.

ის წარმატება, რომელიც აჭარის რესპუბლიკას აქვს, მიღწეულია საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და პირადად ამხ. ლ. ბერიას გულისხმიერი მზრუნველობისა და დახმარების შედეგად.

და ახლა, როდესაც გაიზარდნენ აჭარის ნაციონალური პარტიული და კომკავშირული კადრები, ცხადია, უფრო ჩქარი ნაბიჯით წავა წინ ამ ლამაზი, მდიდარი და ბუნებით უხვად დაჯილდოვებული მხარის ეკონომიური, სამეურნეო და პოლიტიკური აყვავება.

დიდი და სახახელოა საბჭოთა აჭარის წარმატებანი, მოპოვებული საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 15 წლისთავისთვის, მაგრამ კიდევ ბევრი და სერიოზული ამოცანაა გადასაჭრელი. აჭარის ბოლშევიკები უნდა იქნენ მოწინავეთა რიგებში იმ გეგმების შესრულებისათვის, რომლებიც დასახულია ჩაისა და ციტრუსების განვითარების დარგში. დიდი სტალინის და საკავშირო კ. პ. (ბ) ც. კ.-ს დირექტივა ციტრუსების ხუთწლიანი გეგმის შესახებ, განაღდებული უნდა იქნეს ისეთი ერთგულებითა და ნაყოფიერებით, როგორც ეს სჩვევიათ აჭარის პარტიულ, საბჭოთა ორგანიზაციებს და მათ ორდენოსან ხელმძღვანელებს.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების XV წლისთავზე ჩვენი მხურვალე, ბოლშევიკური სალამი აჭარის პარტიულ ორგანიზაციას, სახელოვან მუშათა კლასს, კოლმეურნეთა მასებს და კულტურული ფრონტის ყველა მუშაკთ.

ავღანისტანის საგარეო საქმეთა მინისტრი მოსკოვში

მოსკოვი, 17 მარტი. 15 მარტს, საღამოს, ავღანისტანის საგარეო საქმეთა მინისტრი, ბ-ნი ფაიზ მუჰამედ-ხანი, რომელიც მოსკოვს სტუმრად იმყოფება, დაესწრო ირანის ნაციონალური დღესასწაულის გამო ირანის საელჩოში გამართულ დარბაზობას.

16 მარტს დილით ბ-ნ ფაიზ მუჰამედ-ხანი ეწვია წითელი არმიის ცენტრალურ სახლს.

წითელი არმიის ცენტრალური სახლის საპატიო სტუმართა წიგნში ბ. ფაიზ მუჰამედ-ხანმა აღნიშნა წითელი არმიის ცენტრალური სახლის, როგორც წითელი არმიის კულტურული ცენტრის, დიდი მნიშვნელობა.

დღისით ბ. ფაიზ მუჰამედ-ხანმა ინახულა საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარი ამხ. როზენგოლცი, რომელთანაც ხანგრძლივი საუბარი ჰქონდა (ადს).

ა. წ. მარტის 20-ს, საღამოს 7 საათზე, საქართველოს მთავრობის სასახლეში შედგება

სრულიად საქართველოს ცაკის პრეზიდიუმის და სახალხო კომისართა საბჭოს

გაერთიანებული სხდომა

საქ. ცენტრალურ ორგანიზაციების ხელმძღვანელებთან ერთად.

დღის წესრიგი:

1. საქართველოს სსრ-ის 1936 წ. სახალხო მეურნეობის გეგმა (მომხ. საქ. სახგეგმო კომისიის თავმჯდომარე ამხ. მ. ტორო-შელიძე).
2. საქართველოს სსრ-ის 1936 წ. სახელმწიფო ბიუჯეტი და ადგილობრივი ბიუჯეტის საკონტროლო ციფრები (მომხ. საქ. ფინანსთა სახ. კომისარი ამხ. ხ. ხოშტარია).

სს ცაკის მდივანი თ. ჟღენტი.

პარიზის კომუნა

65 წელს ითვლის მსოფლიო ისტორიული მოვლენის, — პარიზის კომუნის შემდეგ განვლილი დრო. 65 წლის წინათ პარიზის პროლეტარიატმა პირველად მოახდინა ცდა, დაემხო მტარვალთა ბატონობა, გაენთავისუფლებია თავი უსაზღვრო ექსპლოატაციისა და შეუბრალებელი ჩაგვრისაგან. 1871 წლის 18 მარტს პარიზის მშრომელებმა პირველად აღმართეს ძლევამოსილი პროლეტარული რევოლუციის წითელი დროშა და გმირულად დაიწყეს ბრძოლა პარიზის ქუჩებში აღმართულ ბარიკადებზე. „18 მარტს დილით პარიზი გამოაღვიძა მქუხარე ყიჟინამ — „გაუმარჯოს კომუნას"!. (კ. მარქსი).

პარიზის აღშფოთებულმა პროლეტარიატმა გაიმარჯვა თავის კლასობრივ მტერზე, დაამხო სულთამხუთავთა ბატონობა და ხელთიგდო ძალაუფლება.

1871 წლის 18 მარტს გამოცხადდა პარიზის კომუნა.

კომუნამ შეაიარაღა პარიზის პროლეტარები და გააუქმა მუდმივი არმია, განახორციელა ყველა თანამდებობის პირთა არჩევა, სკოლა ჩამოაშორა ეკლესიას და გაქცეული კაპიტალისტების ფაბრიკები გადასცა კოოპერატიულ ამხანაგობებს.

პარიზის პროლეტარიატის სიხარული განუსაზღვრელად ძლიერდებოდა. საუკუნოებით ტანჯულმა პარიზელმა მშრომელებმა მხოლოდ რამდენიმე დღეს იგრძნეს შვება და სიხარული, მხოლოდ რამდენიმე დღეს იყვნენ თავიანთი თავის ბატონ-პატრონნი, მხოლოდ რამდენიმე დღეს სუნთქავდნენ თავისუფლად.

72 დღის შემდეგ კომუნა დამარცხდა. საფრანგეთის ბურჟუაზიამ სასტიკად იძია შური პარიზის პროლეტარიატზე. ცეცხლითა და მახვილით გაანადგურეს კომუნა, პარიზის ქუჩებში წამოვიდა კომუნარების, მათი ცოლებისა და შვილების უმანკო სისხლის ნაკადები. გამარჯვებული ბურჟუაზიის სიმხეცემ ყოველგვარ საზღვარს გადააჭარბა, რამდენიმე დღეში შეუბრალებლად განგმირეს 70.000-ზე მეტი მშრომელის გული.

ასე ეწამა პარიზის პროლეტარიატი იმისათვის, რომ მან „შეუტია ცას", გადასწყვიტა თავისი ძალაუფლების დამყარება.

....კვლავ ეწამა მოყვასისთვის
საოცარი იგი ერი,
კვლავ დაიდგა დიდ წამების
მან გვირგვინი მშვენიერი.

კვლავ ქვეყნისთვის დაიღვარა,
წმინდა სისხლი წამებულის.
კვლავ დამარცხდა დიდი საქმე,
ყოვლად მხსნელი სიყვარულის...

ასე სწერდა საქართველოს დიდი მწერალი ილია ჭავჭავაძე კომუნის დამარცხების შესახებ.

მაგრამ წამებულთა სისხლის დაღვრას ამაოდ როდი ჩაუვლია, ის „დაიღვარა ქვეყნისათვის", მთელი ქვეყნის მშრომელთა განთავისუფლებისათვის.

72 დღის გამოცდილებამ, პარიზის კომუნის მაგალითმა, თვალი აუხილა ყველა ქვეყნის მშრომელთ. მათ ამის შემდეგ გარკვევით შეიგნეს თავის ისტორიული მნიშვნელობა, გაიკვლიეს გზა, თუ როგორ უნდა იბრძოლონ შემდგომში მტარვალთა დასამხობად, თავის განსათავისუფლებლად.

და განა პარიზის კომუნის გაკვეთილმა ჩირაღდანივით არ გაუშუქა ბრძოლის გზა საბჭოთა კავშირის პროლეტარიატს? საბჭოთა კავშირის მუშათა კლასმა გამოიყენა პარიზის კომუნის არა მარტო მიღწევები, არამედ მისი შეცდომებიც.

პარიზის კომუნის წმინდათა წმინდა დროშის ძლევამოსილად აღმართვას პირველობა წილად ხვდათ რუსეთის მუშებსა და გლეხებს.

ამ დროშით ხელში, მარქს-ენგელს ლენინ-სტალინის მანათობელი მოძღვრებით, საბჭოთა კავშირის მშრომელნი წარმატებით აშენებენ უმაგალითო სოციალისტურ ქვეყანას, უკლასო სოციალისტურ საზოგადოებას.

და იმ დროს, როდესაც საბჭოთა კავშირის მშრომელნი ახალ-ახალ გამარჯვებათა ბრწყინვალე მიღწევებს დღესასწაულობენ, როდესაც ჩვენი ქვეყნის ღირსეული შვილნი — სტახანოველები — თავიანთ დაზგებთან საგმირო რეკორდებს ამყარებენ — მსოფლიო კაპიტალიზმი გესლისა და ღვარძლის კოფს ანთხევს, მწვავე კრიზისის ბრჭყალებში მომწყვდეული უკანასკნელ ძალღონეს იკრებს, რათა იერიში მიიტანოს მუშათა კლასზე, სისხლის მორევში ჩაახრჩოს რევოლუციური მოძრაობა, რომ ცოტათი მაინც გაახანგრძლივოს თავის განწირული არსებობა. ამის საილუსტრაციო მაგალითია გამხეცებული ნაციონალ-ფაშიზმი, გერმანიაში, სადაც რევოლუციური მოწინავე მუშები ათასობით არიან მომწყვდეულნი ბნელ საკნებში, სადაც ათასობით მუშებს ასალმებენ წუთისოფელს, სადაც რამდენიმე წელიწადია სტანჯავენ და აწამებენ გერმანიის კომუნისტური პარტიის ბელადს ამხ. ტელმანს.

გერმანიის ფაშიზმს სურს კაპიტალიზმის მოახლოვებული აღსასრული მუშათა კლასის სისხლის ღვრით შეაჩეროს. ის ოცნებობს მშვიდობიანობის მეღრომზე, საბჭოთა კავშირის დამარცხებაზე. აგრეთვე გაცოფებული არიან იაპონიის მილიტარისტები და იტალიის ფაშისტები, რომელნიც შეუბრალებლად სრესენ და ანადგურებენ აბისინიის უდანაშაულო მშრომელ ხალხს.

კაპიტალისტური ქვეყნების ციხეებს ყოველდღიურად ათასობით რევოლუციური მუშები ემატებიან. თეთრი ტერორი სპობს რევოლუციური პარტიის მეთაურებს. რევოლუციურ მებრძოლთა ცოლები და შვილები ულუკმაპუროდ არიან დარჩენილნი, აუტანელ გაჭირვებასა და დამცირებას განიცდიან.

საერთაშორისო მუშათა კლასის ვალია ბურჟუაზიის მიერ დევნილ რევოლუციონერებსა და მათ ოჯახებს გაუწიოს ნივთიერი და მორალური დახმარება. ეს უდიდესი საპატიო საქმე კომინტერნის მე-5 კონგრესმა დაავალა რევოლუციისათვის მებრძოლთა საერთაშორისო დახმარების ორგანიზაციას—მოპრ-ს.

18 მარტი, მოპრის საერთაშორისო დღეა. მთელი მსოფლიოს მუშათა კლასი ამ დღეს აღნიშნავს მშრომელთა მასების ერთიანი ფრონტის განმტკიცების ლოზუნგით, აცხადებს მზადყოფნას იბრძოლოს ფაშიზმისა და ახალი იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ.

მთელ მსოფლიოში პროლეტარული რევოლუციის გამარჯვების ინტერესები გვავალებს ყოველმხრივ დავეხმაროთ და ხელი შევუწყოთ კაპიტალიზმის წინააღმდეგ მებრძოლთ.

პარიზის კომუნის პირველი ნაპერწკალი უდიდეს კოცონად გაღვივდა დედამიწის ერთ მეექვსედზე — საბჭოთა ქვეყანაში.

პარიზის კომუნის წითელი დროშა ამაყად არის აღმართული, მსოფლიო ბურჟუაზია ვერ შესძლებს მის დამარცხებას. შორს აღარ არის ის დრო, როდესაც ამ დროშით ხელში, მსოფლიო მუშათა კლასი საფლავს მიაბარებს ძირმომპალ კაპიტალიზმს და იზეიმებს მთელ მსოფლიოში კომუნიზმის გამარჯვებას.

◇ ◇ ◇

აჭარის ცაკის საიუბილეო სესია

ბათომი, 17 მარტი. 17 მარტს, საღამოს 7 საათსა და 30 წუთზე, ქალაქის თეატრში გაიხსნა აჭარის ცაკის საიუბილეო სესია, მიძღვნილი საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 15 წლისთავისადმი. თეატრი მორთულია სუბტროპიკული მცენარეებით, პალმებით, ყვავილებით, დეკორირებულია წითელი ალმებით, საბრძოლო დროშებით.

სცენაზე წითელი ალმების ფონზე მოჩანს ლენინის ბიუსტი, და ამხანაგ სტალინის უზარმაზარი პორტრეტი.

პრეზიდიუმის მაგიდას უსხედან ა.-კ. ს.ფ.ს.რ. ცაკის და საქართველოს ცაკის თავმჯდომარე ამხ. მახარაძე, აჭარის ცაკის თავმჯდომარე ამხ. ზაქარია ლორთქიფანიძე, საოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. სულეიმან ლორთქიფანიძე, შავი ზღვის ფლოტის სარდალი, მეორე რანგის ფლაგმანი ამხ. კოჟანოვი, საწარმოების, ჩაის და ციტრუსოვანი პლანტაციების სტახანოველები. მათ შორის: ჩაის საუკეთესო მკრეფავი ამხ. მარიკა, ფუნდუკიძე, აჭარელი კოლმეურნე ქალი, საკავშირო ცაკის წევრი ამხ. კვესიეშვილი, ვოროშილოვის სახელობის მილიონერი, კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. ლაღაძე და სხვ.

საპატიო პრეზიდიუმში არჩეულია საკ. კ.პ.(ბ) ც.კ.-ის პოლიტბიურო ამხანაგ სტალინის მეთაურობით და ამხ. დიმიტროვი, ტელმანი, ბერია, სტახანოვი, მუსაბეკოვი, მახარაძე, მგალობლიშვილი, გეურქოვი.

დიდი ბელადის სახელის ხსენება იწვევს მქუხარე ტაშს, რომელიც ოვაციაში გადადის; ფეხზე ამდგარი დარბაზი დიდხანს უკრავს ტაშს საყვარელ სტალინს პატივსაცემად; გაისმის მისასალმებელი შეძახილები სხვადასხვა ენაზე—გაუმარჯოს ჩვენს მშობლიურ, საყვარელ სტალინს! გაუმარჯოს მის ერთგულ მოწაფეს, ამიერ-კავკასიის ბოლშევიკთა ხელმძღვანელს ლავრენტი ბერიას!, გაუმარჯოს მრავალეროვანი ამიერ-კავკასიის და მთელი საბჭოთა კავშირის ხალხთა სტალინურ მეგობრობას!

მოხსენებით საბჭოთა აჭარის თხუთმეტი წლის ბრძოლის და გამარჯვებათა შესახებ გამოვიდა აჭარის ცაკის თავმჯდომარე ამხ. ზაქარია ლორთქიფანიძე.

საქართველოს და ამიერ-კავკასიის მთავრობათა, საქ. კ. პ. (ბ) ც. კ.-ის, საკ. კ.პ.(ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტისა და პირადად ამხანაგ ბერიას სახელით მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა ამხ. ფილიპე მახარაძე.

სესიას მიესალმნენ რესპუბლიკის საწარმოების, ჩაის, ციტრუსების და სხვა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მრავალრიცხოვანი დელეგაციები, მოწაფეები, პიონერები, სამხედრო ნაწილების, ფლოტის, მოძმე რესპუბლიკათა წარმომადგენლები (ადს).

ამხ. თუნთულ კვესიეშვილი, ქობულეთის კარლ-მარქსის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი—სტახანოველი, საკავშირო ცაკის ეროვნებათა საბჭოს წევრი თავის შვილიშვილით.

ფოტო—შ. ფურცხვანიძის.

მისალმებანი

აჭარის ასს რესპუბლიკის ცაკის თავმჯდომარეს—ამხ. ზ. ლორთქიფანიძეს

საქ. კ. პ. (ბ) აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანს—ამხ. ა. გეურქოვს

საკ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტი მხურვალე სალამს უძღვნის აჭარის ავტონომიური სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის მუშებს, კოლმეურნეებს და ყველა მშრომელთ მისი თხუთმეტი წლისთავის იუბილეს დღეს.

საბჭოთა საქართველოს ხალხებთან ძმურ ერთიანობაში, გმირულ წითელ არმიასთან შეერთებული ძალღონით—აჭარის მშრომელებმა 15 წლის წინათ გადაიგდეს მენშევიზმის უღელი და დაამყარეს საბჭოების ხელისუფლება.

ლენინ-სტალინის დიადი დროშის ქვეშ საბჭოთა აჭარის მშრომელებმა უდიდეს წარმატებებს მიაღწიეს სოციალიზმის მშენებლობაში. გაიზარდა და ვითარდება ახალი, ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით აგებული მრეწველობა, იზრდება მოწინავე სოფლის მეურნეობა, მტკიცდებიან კოლმეურნეობანი, აყვავდა აჭარის ხალხთა კულტურა.

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკთა), მისი ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით, საქართველოს და ამიერ-კავკასიის ბოლშევიკების სოციალისტურ გამარჯვებათა ორგანიზატორის ლავრენტი ბერიას ხელმძღვანელობით წარმატებით სრულდება ხალხთა ბელადის — დიდი სტალინის მითითება ჩაისა და ციტრუსების განვითარების შესახებ. საბჭოთა აჭარა საბჭოთა სუბტროპიკების აყვავებული ბაღი ხდება.

საკ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტი დარწმუნებულია, რომ საბჭოთა აჭარის ბოლშევიკები და ყველა მშრომელი წარმატებით შეასრულებენ იმ დიდ ამოცანებს, რომლებიც დასახულია მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების, საკოლმეურნეო წყობილების განმტკიცების, კადრების გამოზრდის, ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური კულტურის მშენებლობის დარგში.

გაუმარჯოს საბჭოთა აჭარას!

გაუმარჯოს ლენინ-სტალინის დიად, უძლეველ დროშას!

გაუმარჯოს სოციალიზმის გამარჯვებათა გენიალურ ორგანიზატორს, ხალხთა ბელადს დიდ სტალინს!

საკ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტი

◇ ◇ ◇ ◇ ◇

აჭარის ასს რესპუბლიკის ცაკის თავმჯდომარეს—ამხ. ზ. ლორთქიფანიძეს

საქ. კ. პ. (ბ) აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანს ამხ. ა. გეურქოვს

ა.-კ. სფსრ-ის სახალხო კომისართა საბჭო მხურვალედ მიესალმება აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მუშებს, კოლმეურნეებს და ყველა მშრომელს აჭარის ასს რესპუბლიკაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების თხუთმეტი წლისთავზე. ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის განუხრელად გატარების საფუძველზე, ხალხთა ბელადის დიდი სტალინის მითითებათა განხორციელებით, წითელი აჭარის მშრომელები წარმატებით აშენებენ თავის სოციალისტურ მეურნეობასა და კულტურას.

ა.-კ. სახკომსაბჭო დარწმუნებულია, რომ საკ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის და საქართველოს კ. პ. (ბ) ც. კ.-ის ხელმძღვანელობით აჭარის სს რესპუბლიკის მშრომელნი მიაღწევენ ახალ დიდ წარმატებებს სოციალისტურ მშენებლობაში და რამდენიმე წლის მანძილზე გადააქცევენ საბჭოთა აჭარას სუბტროპიკების მთლიან აყვავებულ ბაღად.

გაუმარჯოს სსრკ-ის ხალხთა ურყევ მეგობრობას!

გაუმარჯოს ხალხთა ბელადს დიდ სტალინს!

ა.-კ. სფსრ-ის სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე მუსაბეკოვი.

◇ ◇ ◇ ◇ ◇

აჭარის ასს რესპუბლიკის ცაკის თავმჯდომარეს—ამხ. ზ. ლორთქიფანიძეს

საქ. კ. პ. (ბ) აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანს—ამხ. ა. გეურქოვს

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სს რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო მხურვალე სალამს უთვლიან აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მუშებს, კოლმეურნეებს და ყველა მშრომელს. აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების თხუთმეტი წლისთავზე.

ბათომის გმირულმა პროლეტარიატმა, რომელიც გამობრძმედილია რევოლუციურ კლასობრივ ბრძოლებში ხალხთა ბელადის დიდი სტალინის უშუალო ხელმძღვანელობით, აჭარის, ბოლშევიკებმა, რომლებიც აღზრდილი არიან სტალინურ საბრძოლო ტრადიციებზე, მრავალი ბრწყინვალე ფურცელი ჩასწერეს თვითმპყრობელობასა და ბურჟუაზიასთან ბრძოლის ისტორიაში, საერთაშორისო იმპერიალიზმის აგენტებთან —მენშევიკებთან ბრძოლის ისტორიაში.

15 წლის წინათ აჭარის მშრომელებმა, ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით, საქართველოს მშრომელებისა და სახელოვანი წითელი არმიის დახმარებით გააძევეს საზიზღარი მენშევიკები და დაამყარეს საბჭოთა ხელისუფლება.

საბჭოთა ხელისუფლების 15 წლის არსებობის განმავლობაში, აჭარის მშრომელებმა, აჭარის ბოლშევიკთა ხელმძღვანელობით, საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელობით, საბჭოთა საქართველოსა და მთელი ამიერ-კავკასიის ხალხებთან ურყევ მეგობრობაში — უდიდეს წარმატებებს მიაღწიეს სოციალისტური მშენებლობის საქმეში, მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის ამაღლების საქმეში და აჭარა გადააქციეს აყვავებულ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად.

შესანიშნავი წარმატებებია მიღწეული მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ჩაის, ციტრუსების განვითარების დარგში, საკოლმეურნეო წყობილების განმტკიცებაში, კურორტების მშენებლობაში და აჭარელ მუშაკთა კადრების გამოზრდაში.

აჭარის მშრომელთა წარმატებანი წარმოადგენენ ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის და ხალხთა ბელადის დიდი სტალინის პირად მითითებათა განუხრელად განხორციელების შედეგს.

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სს რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო მტკიცე რწმენას გამოსთქვამენ, რომ აჭარის ბოლშევიკთა ხელმძღვანელობით, საქართველოს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით — საბჭოთა აჭარის მშრომელნი კიდევ უფრო მეტი შეუპოვრობით იმუშავებენ მათ წინაშე მდგარ უდიდეს ამოცანათა განსახორციელებლად და კიდევ უფრო დიდ გამარჯვებებს მიაღწევენ სოციალიზმის მშენებლობაში.

გაუმარჯოს აჭარის ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას!

გაუმარჯოს სსრ კავშირის ხალხთა დიად მეგობრობას!

გაუმარჯოს ლენინ-სტალინის პარტიას და მთელი მსოფლიოს ხალხთა ბრძენ ბელადს, სოციალიზმის გამარჯვებათა ორგანიზატორს—დიდ სტალინს!

საქ. სს რესპუბლიკის სახკომსაბჭო.
საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი.

◇ ◇ ◇ ◇ ◇ ◇ ◇ ◇

ბათომი დღეს

საბჭოთა აჭარის 15 წლისთავი

აჭარის ცაკის თავმჯდომარე ამხ. ზ. ლორთქიფანიძე.

საქართველოს ცაკის მისალმება

აჭარის ცაკის თავმჯდომარეს ამხ. ზ. ლორთქიფანიძეს
საქ. კ.პ. (ბ) აჭაროლქკომის მდივანს ამხ. ა. გეურქოვს

საქართველოს ცაკის პრეზიდიუმი საქართველოს მუშებისა და კოლმეურნეების სახელით მხურვალე ბოლშევიკურ სალამს უძღვნის საბჭოთა აჭარის ყველა მშრომელს საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 15 წლისთავზე.

აჭარის ხალხს ათასი წლობით სძარცვავდნენ და ანადგურებდნენ „თავისი“ ფეოდალები და უცხოელი დამპყრობნი. აჭარელი გლეხის ხვედრი კიდევ უფრო აუტანელი და მწარე გახდა აჭარელი ბეგებისა და მათი მფარველების — რუსეთის ტირან-მეფეების ორმაგი უღლის ქვეშ.

ოქტომბრის დიდმა სოციალისტურმა რევოლუციამ აჭარის მშრომელებში გააღვივა განთავისუფლებისათვის ბრძოლის ნებისყოფა. საერთაშორისო კაპიტალის ონავრებმა და საქართველოს მუშათა და გლეხთა გამცემლებმა — ქართველმა მენშევიკებმა გზა გადაუღობეს აჭარის ხალხის განთავისუფლებას. თავისი შოვინისტური დიდმპყრობელური პოლიტიკით მენშევიკებმა ახალი უბედურებანი დაატეხეს ბათომის პროლეტარიატს და აჭარელ გლეხებს. თავისი მტრების წინააღმდეგ ბრძოლისათვის აჭარის მშრომელთა გამოღვიძებაში თავის დროზე გადამწყვეტი როლი ითამაშა დიდმა სტალინმა.

15 წლის წინათ საქართველოს და აჭარის მშრომელებმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ბოლო მოუღეს ქართველი მენშევიკების ბატონობას და დაამყარეს პროლეტარიატის დიქტატურა.

საბჭოთა ხელისუფლების არსებობის 15 წლის განმავლობაში აჭარის მშრომელებმა ლენინურ-სტალინური პარტიის ხელმძღვანელობით უდიდეს წარმატებებს მიაღწიეს სოციალისტური მშენებლობის ყველა დარგში და განსაკუთრებით ძვირფასი სუბტროპიკული და ციტრუსოვანი კულტურების განვითარებაში.

ყველა ეს წარმატება მიღწეულია კომუნისტური პარტიის (ბ) ხელმძღვანელობით, ჩვენი საყვარელი ბელადის ამხანაგ სტალინის პირადი მზრუნველობისა და ყურადღების მეოხებით, აგრეთვე საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკებისა) ცენტრალური კომიტეტის და მისი ნაცადი ხელმძღვანელის — ამხანაგ ლავრენტი ბერიას უშუალო ხელმძღვანელობით.

გაუმარჯოს ჩვენს მშვენიერ აჭარას!

გაუმარჯოს მსოფლიო პროლეტარიატის ბელადს — დიდ სტალინს!

საქართველოს ცაკის თავმჯდომარე ფილიპე მახარაძე
საქართველოს ცაკის მდივანი თენგიზ ჟღენტი.

უსტა აბდულ

ცხმორისის მწვანე ფერდობებში ცივი სიო დაჰქრის. მორბის აჭარისწყალი და მოაპობს კლდოვან ფერდობებს....

ერთი საათის სიარულის შემდეგ ჩვენ უკვე მივედით სოფელ გეგელიძეებში. ამ სოფელში მე ძლიერ ხშირად ვყოფილვარ, პირველად ერთი წლის წინათ ვიყავი აქ. ამ მოკლე ხნის განმავლობაში ძალზე გამოცვლილა ეს სოფელი, ვხედავ ახალ ლამაზ სახლებს კოხტა ღობეებით.

გავიარეთ კიდევ ერთი ბილიკი და აბდულ ხალვაშის სახლს მივუახლოვდით. გავიარეთ სუფთა ეზო. ჩვენს დანახვაზე აბდულმა ძროხის ალერსს თავი დაანება, მოგვეგება და სახლისაკენ გაგვიძღვა.

თექვსმეტი წლის ბიჭივით აირბინა აივნის საფეხურები სამოცდაშვიდი წლის მოხუცმა და მალე დიდ ბუხარში აგიზგიზებულ ცეცხლის პირად გაიმართა ჩვენი ტკბილი საუბარი...

— სამოცი წლის წინათ, — გვიამბობს სახეგაბრწყინებული აბდული, — აქ ამხელა სოფელი როდი იყო. ამ მთის კორტოხზე რამდენიმე მოსახლე ვცხოვრობდით. ჩვენ სამი ძმანი ვიყავით. დედა ადრე გარდაიცვალა. მისი სახე მე არ მახსოვს. დიდი ხნის და მეზობლები მეუბნებოდნენ, რომ გულკეთილი და გულშემატკივარი ქალი ყოფილა, ძალიან ვყვარებივართ შვილები და მუდამ ჩვენს ფერებში ყოფილა. მამა, მახსოვს. ძნელი ხასიათის და ქვა-გულის მქონე იყო და [illegible] თურმე მხოლოდ ჩვენთან ალერსში პოულობდა მხიარულებას. მაგრამ არ დასცალდა საბრალოს ჩვენი გაზრდა.

მე შვიდი წლისა ვიქნებოდი, როცა ჩემს ორ პატარა ძმასთან ერთად მიგვატოვა სახლში მამამ, სხვა ქალი ითხოვა და სადღაც გადაიკარგა..

დავრჩით ცარიელ სახლში კერასთან აცრემლებული ბავშვები. რა უნდა გვექნა, ვინ შეგვიბრალებდა? ბიძა-ჩვენმა რომ გაიგო მამის გადაკარგვა, სახლში შემოვიდა, [illegible] წყალით თვალებით. — „სახლიდან არ გამოსწევს ბავშვებს!“—კარი გაიხურა და წავიდა...

დავდიოდით ობლად, ხან ერთ მეზობელთან, ხან მეორესთან, ვინც პურს მოგვიტეხავდა, ვინც საჭმელს გვაჭმევდა. გვცემდნენ, ვისაც არ „ზარებოდა...

ეზოს ბილიკი რომ ჩავირბინე. წინ ერთი კაცი შემხვდა. მომეფერა, მომეალერსა, შაქრის ნატეხი მომცა. მითხრა — წამომყევი, ბიჭო, და გაზრდი, კარგად ჩაგაცმევ და დაგხურავ, როცა გაიზრდები, ისევ აქ ამოგიყვან შენს სოფელში და რაფრადაც გინდა, ისე იცხოვრეო.

გავიხარე. მე [illegible] ქობულეთ თი იქვე სადღაც აბლის შეყრა და სიამოვნებით გავყევი ჩემს ახალ ბატონს.

თურმე ნუ იტყვი ჩემს „მხსნელს“ აბშიდ ტრაპიზონელი მდიდარი გლეხის სეფე ბუხარის ათი მანეთი ჰქონია ვალად. ფულის სანაცვლოდ მე მიმიყვანა, რადგან შემეძლო მეწყემსა ცხვრები და თხები...

საწყალი უნდა წარმომედგინა გაჰუდული, მონა აბდული.

ვის რა უნდა დაეშავებინა, რომ ის დანაშაული მე არ დამბრალებოდა, ვის რა უნდა ჩაედინა, რომ ჩემთვის არ ეცემათ, ვის რა უნდა მოეპარა, რომ ჩემთვის არ დაებრალებინათ. ყველაფერში ობოლი აბდული იყო დამნაშავე, ყველაფერზე აბდულს უნდა ეგო პასუხი.

ასეთ ტანჯვასა და წამებაში გაიარა ორმა წელიწადმა. ჩემს საბედნიეროდ, გარდაიცვალა გულქვა ბატონი. ცხრა წლისა ვიყავი, აცრემლებული მნახა ერთმა ლორწყომელმა გლეხმა, შემიბრალა და ისევ ჩემს სოფელში — ჩემს ჩამქრალ კერასთან მიმიყვანა.

o

უსტა აბდულმა ჩიბუხი ხელმეორედ გასტენა, ბუხარში ცეცხლი შეუკეთა და განაგრძო:

— რა უნდა მექნა! დავრჩი ისევ ობოლი აბდული, ისევ უპატრონო, დამაინტერესა სახლის აშენების საქმემ და უსტა აბდულთან შევეფარე თავი. ვხერხავდი, ვჩრიდი ფიცრებს, ვსწავლობდი „უსტობას“.

ერთი წლის შემდეგ უსტა აბდულამ „ჯამაგირი“ დამინიშნა — თვეში ერთი აბაზი. არ მახსოვს, რამდენი წელიწადი ვმუშაობდი უსტასთან, მარა ის კი მახსოვს, რომ კაი საცოლშვილო ბიჭი ვიყავი, როცა უსტობას თავი დავანებე და ჩემი თითო აბაზობით შეგროვილი ფული ოცდაშვიდი მანეთამდე იყო.

ასეთია უსტა აბდულის წარსული. მესამოცე წელზე მას ყავდა 7 ქალი და ორი ვაჟი.

შვილებს მამისაგან ჩაენერგათ სიყვარული შრომისადმი და [illegible] ოჯახის ტვირთს.

ქედის რაიონში რომელ სოფელშიც არ უნდა მიხვიდეთ ყველგან ნახავთ უსტა აბდულის აშენებულ სახლს. თუ ვინმეს კარგი სახლის აშენება სურდა, უსტა აბდულისთვის უნდა მიემართა, მაგრამ თავისთვის უსტა აბდულს არ ჰქონდა სახლი.

1929 წლის ივნისში სოფ. გეგელიძეების მშრომელმა გლეხებმა გადაწყვიტეს კოლმეურნეობის ჩამოყალიბება.

ბევრი იყოყმანეს, ბევრი ყოყმანობდა, ვერ ბედავდა ახალ ცხოვრებაში ფეხის შედგმას. მაინც კოლმეურნეობა „წითელ დროშაში“ ათი კომლი გაერთიანდა. მათ შორის პირველი უსტა აბდულის ოჯახი იყო.

როგორც აბდულს, ისე მისი ოჯახის ყოველ წევრს უყვარდა შრომა და რა უნდა გადაღობებოდა მათ წინ ახალი შეძლებული ცხოვრებისაკენ?

საკოლმეურნეო შრომამ მთლიანად გამოსცვალა უსტა აბდულის ცხოვრება. დღეს მას აქვს ლამაზი ხის სახლი, რომელიც მართლაც შეჰფერის უსტას და შეძლებულ კოლმეურნეს. მისი ლამაზი ხარები „ნიშლა“ და „მიშკა“ სოფ. გეგელიძეების თვალია. მას ჰყავს ოცი სული პირუტყვი.

გასულ წელს უსტა აბდულმა გამოიმუშავა 170 შრომადღე. თითო შრომადღეზე 15 მანეთი და 35 კა- [illegible], ხოლო 34 წლის სამი მანეთისა, ამას გარდა ერთნახევარი კილო სიმინდი, თამბაქო და სხვა პროდუქტები.

ბედნიერია დღეს უსტა აბდულის ოჯახი. პატარა ბავშვები სკოლაში სწავლობენ. იგი ყველაფერში ხედავს სიცოცხლეს, სიხარულს და ამაყად იყურება ბედნიერი მომავლისაკენ.

უსტა აბდული მუდამ ცდილობს, რომ მისი კოლმეურნეობის ყოველი წევრი მასთან ერთად შეძლებულად ცხოვრობდეს. ამიტომაა, რომ მოხუცი აბდული დღესაც, სიცოცხლით სავსე, ქარივით დაჰქრის საკოლმეურნეო მინდვრებზე, ყველას ეხმარება, ყველას უხსნის თამბაქოს მუშაობის წვრილმანებს, ყველას დაჟინებით ესაუბრება საკოლმეურნეო ცხოვრების სიდიადეზე. მის დოვლათზე, სიუხვეზე და მომავალ კიდევ უფრო საამურ ცხოვრებაზე...

სოფ. გეგელიძეები, 12 მარტი.

ხულოსა და ქედის რაიონების კოლმეურნეობათა სტახანოველები: მარცხნიდან მარჯვნივ: ხ. დიასამიძე, ხ. მაიძე, შ. მიქელაძე, თ. ბოლქვაძე, ხ. ხალვაში.

საქ. კ.პ. (ბ) აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. ა. გეურქოვი.

ფატუმე დადიანი

სტუდენტი, აჭარელი ქალი;

ჩემი ქვეყანა

ბევრი გახსოვს წარსულ დროთა სისხლის ღვრა და ქვეყნთან-ომი,
სიცოცხლისმძულე წუხილები [illegible] ძველი შრომით,
გაგონდება ჩაგვრა, ტანჯვა, რომ წარსულში იხედები —
გაუცრუვდით შენს [illegible] ოცნება და იმედები!
შენს მიღწევებს შენი სახე ამაყად და ცხადად ამბობს,
საბჭოეთის ვარსკვლავეთში მშრომელების ბედი სავსე.
აჭარელი გოგონები აშენებენ [illegible] საქმეს
და მზის სხივი დაანათებს აჭარელი ქალის სახეს.
დაჩაგრული, [illegible], გაიღვიძე, გაშლი ფრთებს,
საუკუნეობით მოკრძალებით [illegible] გაშლის ხალს.
გვიხარია ახალ დროის, ამ ეპოქის რომ ვართ შვილნი,
ჩვენზე ზრუნავს დიდი ქვეყნის მშენებელი [illegible].
დღეს მზის სხივი ეფინება იმ ქვეყნის ცის კამარას,
ვესალმები ციტრუსების [illegible] ჩვენს აჭარას.
მუდამ, შენ მიღწევებით კიდევ უფრო წინ, წინ გვეძღვის,
შენთან ერთად გაუმარჯოს [illegible] საქართველოს!

◇ ◇

ვარლამ ჟურული

ნარინჯების ქვეყანა

აგერ სიმწვანით სავსე ნაძვია,
თოვლი კამკამებს აჭარის მთაზე.
ახლა რიჟრაჟი ცას რომ აცვია
ხეც კი [illegible] ჩიტების ხმაზე.
ისე წყნარი და სუფთაა პონტო
მგონია თითქოს ერთი წვეთია!..
ჩუმათ ირხევა ნარინჯის ტოტი
ოქროს ნაყოფი რომ მოწყვეტია.
[illegible] კარგი სულ მუდამ იყოს
ვარდის, ჩაის და პალმის ქვეყანა!..
მზისკენ გაფრენილ მამაც [illegible]
ნეტავ ღრუბელიც შორს წაეყვანა!..
ნეტავ ბულბულად მაინც [illegible]
გული ამ წალკოტს რომ [illegible]
ტოვებს.

ყვავილებს შორის დგას აკაცია,
[illegible] ლაშქარი ესევა ტოტებს,
ახლაც ლიმონებს კრეფენ ქალები,
თვალი კი ბრუნავს აჭარის
მთაზე.
მოდით, ჩამიდგით [illegible] თვალები
თორემ სულ დაშვრება ამ სილამაზეზე!

ზ. ლორთქიფანიძე

აჭარის ცაკის თავმჯდომარე.

გამარჯვებული საბჭოთა აჭარა

დღეს საბჭოთა აჭარის მშრომელნი ზეიმობენ ბეგების, ხოჯების, მოლებისა და მათი დამქაშების, ბურჟუაზიის აგენტების - მენშევიკების ბატონობისაგან განთავისუფლების 15 წლისთავს.

საუკუნეთა განმავლობაში იტანჯებოდნენ აჭარის მშრომელნი, საუკუნეთა განმავლობაში გმინავდნენ ისინი მონობის მძიმე უღელ ქვეშ. ისტორიაში ძნელად თუ მოიპოვება ისეთი ხალხი, რომელსაც ამდენი ტანჯვა და ვაება გადაეტანოს; აჭარელი მშრომელი ხალხისათვის დღეც კი დაბნელებული იყო. მის თავზე, როგორც [illegible], წისქვილის ქვა არ მობრუნებულა. თითქმის [illegible] დაპყრობები მას ოსმალთ ურდოების, რუსეთის მეფის ჟანდარმების, ინტერვენტების, მენშევიკთა [illegible] ალვირახსნილი თარეშის პირობებში.

1921 წლის 18 მარტი — ეს ის ისტორიული დღეა, როცა აჭარის მშრომელი ხალხის [illegible] ცაზე ოქტომბრის ცხოველმყოფელმა მზემ გამოანათა.

ამ დღიდან იწყება აჭარის სამეურნეო და კულტურული აღორძინება.

საბჭოთა აჭარის თავისუფლება მშრომელთა სისხლითა და ბრძოლით არის მოპოვებული.

აჭარის მშრომელი ხალხის ისტორიაში ოქროს ასოებით არის აღნიშნული ის ხანა, როცა ბათომში მუშაობდა ცარიზმის და კაპიტალიზმის დასამხობად ბათომელ პროლეტარიატს დიდი სტალინი, ხალხთა ბელადი მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის მარშალი.

აჭარის ხალხში დარჩენილია მშრომელი ხალხის ინტერესების გამყიდველ მენშევიკთა ბატონობის მწარე მოგონება. მათ სრულ გაჩანაგებამდე მიიყვანეს სახალხო მეურნეობა, გაძარცვეს და ააწიოკეს აჭარა, მათი [illegible] თუნდაც ერთი წუთით [illegible] ნება [illegible] იწვევს აჭარელ ხალხში.

მენშევიკები იყვნენ მეფის ნაციონალ - შოვინიზმისა და [illegible] წინააღმდეგ [illegible] ხალხთა [illegible] პოლიტიკის ორგანიზატორები. სწორედ მათ ქართველმა პურიშკევიჩებმა მოაწყვეს სისხლის მღვრელი ლაშქრობა საქართველოს ნაციონალურ უმცირესობათა — ოსთა, აფხაზთა, აჭარელთა წინააღმდეგ (ლ. ბერია).

აჭარის მუშათა კლასი და მშრომელები, ბოლშევიკური ორგანიზაციის ხელმძღვანელობით, აწარმოებდნენ რევოლუციურ ბრძოლას ოკუპანტების თვითმპყრობელებისა და მენშევიკური კონტრრევოლუციური „დემოკრატიული“ რესპუბლიკის წინააღმდეგ, საბჭოთა ხელისუფლებისათვის და მათ გაიმარჯვეს კიდეც.

შეხედეთ დღეს საბჭოთა აჭარას — აღორძინებულ, აყვავებულ საბჭოთა აჭარას, რომელიც დიდი სტალინის ინდუსტრიალიზაციისა და კოლექტივიზაციის გეგმის საფუძველზე გიგანტებით მოიფინა, ჩაისა და ციტრუსების პლანტაციებით დაიფარა, მოიფინა სკოლებით, საავადმყოფოებით, კლუბებით!

ეს მიღწევები მოპოვებულია განსაკუთრებით საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1931 წლის 31 ოქტომბრის ისტორიულ დადგენილებათა შესრულებისათვის ბოლშევიკური ბრძოლის შედეგად, ამხ. ლ. ბერიას კონკრეტულ-ოპერატიული ხელმძღვანელობით.

ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის სტალინური გეგმის განხორციელებისათვის ბრძოლაში განსაკუთრებით დიდი მიღწევები აქვს საბჭოთა აჭარას მრეწველობის განვითარების მხრივ.

ძველი ბათომი, თავის ნახევრადკუსტარულ - პრიმიტიული ქარხნებით, ისტორიას ჩაბარდა. ახლა საბჭოთა კავშირის ინდუსტრიის სიამაყესთან ნავთისგადამამუშავებელ ქარხნებთან ერთად, ბათომში სოციალისტური მრეწველობის გუმბერაზი სხვა კერებიც არის. იქ, სადაც მეფის რეჟიმის და მენშევიკების ბატონობისას მხოლოდ ნავთის ბიდონებისა და ხის ყუთების „წარმოება“ იყო, ახლა აღმართულია თოკის ჩამომსხმელი ქარხნის ვეება კორპუსი, მუშაობს სათუთაო, ტყავის სპირტის-სასმელი ქარხნები, სამკერვალო ფაბრიკა, ექსპლოატაციაში შევიდა მანქანათმშენებელი ქარხნის პირველი რიგი, რომელიც სამსახურს გაუწევს ჩაის მზარდ მრეწველობას. იზრდება კაპიტალური დაბანდებანი, შენდება კერამიკის, ლუდის და სხვა პირველი რიგი ახალი ქარხნები. საინტერესოა აღინიშნოს, რომ მარტო 1935 წელს მთელი მრეწველობის პროდუქციის ღირებულება შეადგენდა 155 მილიონ მანეთს ნაცვლად 1921 წლის 1.700.000 მანეთისა. ბათომში აგებულია სახალხო - სამეურნეო თვალსაზრისით უაღრესად მნიშვნელოვანი და ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით მოწყობილი ნავთის გადამამუშავებელი ქარხნები.

საბჭოთა კავშირის მრეწველობაში ნავთისგადამამუშავებელ ქარხნებს თვალსაჩინო ადგილი უჭირავს. მათი მშენებლობა 1927 წელს დაიწყო, ხოლო ცალკეული აგრეგატების ექსპლოატაცია — 1929 წელს. ახალი ქარხნებისა და აგრეგატების ამუშავებასთან ერთად გაჩაღდა ბრძოლა მათი ტექნიკის ათვისებისათვის, მუშათა კვალიფიკაციის ამაღლებისა და კადრების მომზადებისათვის.

1935 წელს ბათომის ნავთის გადამამუშავებელმა ქარხნებმა მოგვცეს 118.169 ათასი მანეთის პროდუქცია.

აჭარის საწარმოთა პროდუქცია მარტო პირველი ხუთწლედის წლებში გაიზარდა 24-ჯერ. ამ პროდუქციას ძირითადად უშვებენ ახალი საწარმოები, რომლებიც აგებულია საბჭოთა ხელისუფლების მიერ.

მრეწველობაში თვალსაჩინოდ გაიზარდა შრომის ნაყოფიერება და ხელფასი. მუშაობის სტახანოვური მეთოდები ღრმად ინერგება წარმოებაში, გადაჭრით უმჯობესდება პროდუქციის ხარისხი და კლებულობს წუნის პროცენტი.

ექსპლოატაციაში შევიდა ფეხსაცმლის რეკონსტრუირებული ფაბრიკა, რომელიც მთლიანად მექანიზებულია; ფაბრიკის სიმძლავრე აყვანილია 250 ათას წყვილამდე. მიმდინარეობს ტყავის ქარხნის რეკონსტრუქცია, რაც 1936 წელს დამთავრდება. ქარხანა 200 ათას ტყავს გამოუშვებს.

საერთო პროდუქციის ზრდასთან ერთად იზრდება მუშათა რიცხვიც. თუ 1923 წელს მრეწველობაში 763 კაცი მუშაობდა, 1935 წელს მუშაობდა უკვე 8528 კაცი; მუშათა კვალიფიკაციის ამაღლებისა და შრომის სოციალისტური ფორმების ფართოდ გაშლის შედეგად, ერთიორად და სამად გაიზარდა შრომის ნაყოფიერება.

კაპიტალური დაბანდება სახალხო მრეწველობაში 1927 წ. 4.300 ათას მანეთს შეადგენდა, ხოლო 1934 წელს — 20 მილიონ მანეთს. კაპიტალური დაბანდება მთელს სახალხო მეურნეობაში პირველი ხუთწლედის განმავლობაში შეადგენდა 48.988 ათას მან. 1935 წელს კი დაბანდებულ იქნა 50.758 ათასი მანეთი.

კაპიტალური დაბანდება ელექტრომშენებლობაში პირველ ხუთწლედში შეადგენდა 8.081,4 ათას მან., ხოლო მეორე ხუთწლედის სამი წლის განმავლობაში — 35.131,7 ათას მანეთს.

ადგილობრივი დანიშნულების საოლქო მრეწველობის საერთო პროდუქციამ 1935 წელს მიაღწია 8.655 ათას მანეთს, 1923 წლის 2,141 ათასი მანეთის ნაცვლად.

აჭარის მრეწველობის ხვედრითი წონა საქართველოს მრეწველობაში 1923 წელს შეადგენდა 1,9 პროცენტს, 1931 წელს — 23,5 პროცენტს, ხოლო 1935 წელს 33.8 პროცენტს.

ყველასათვის ცხადია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს აჭჰესის მშენებლობას, მისი სიმძლავრე 23.250 ცხენის ძალა იქნება.

აჭჰესი მალე ილიჩის ნათურებით გაანათებს აჭარის სოფლებს და უზრუნველყოფს ჩვენს საწარმოებს ელექტროენერგიით.

ის ფაქტი, რომ მრეწველობის ათასობით მუშათა შორის მრავლად არიან ჩაბმული აჭარლები, რომლებიც დაეუფლნენ და ეუფლებიან რთულ ტექნიკურ დანადგარებს და სამუშაოებს, თავისთავად მეტყველებს იმაზე, თუ რა უდიდესი ძვრები მოხდა ამ 15 წლის მანძილზე საბჭოთა აჭარაში. აჭარის საწარმოებში ამჟამად მუშაობს, 52 აჭარელი ინჟინერ-ტექნიკოსი, რომელთა შორის 2 ქალია. ხოლო ამავე დროს მრავალი აჭარელი ახალგაზრდა 2-3 წლის განმავლობაში ამთავრებს უმაღლეს სასწავლებლებს — საინჟინერო დარგზე.

მრეწველობის დარგში მოპოვებულმა წარმატებებმა უზრუნველყვეს აჭარის სოფლის სოციალისტური გარდაქმნის სწრაფი ტემპები. ამჟამად აჭარაში არის 22 სუბტროპიკული საბჭოთა მეურნეობა, რომელთაც 7200 ჰექტარი ფართობი უჭირავთ.

დაქუცმაცებულ, ღატაკ მეურნეობათა ნაცვლად მრავლდებიან და მტკიცდებიან კოლმეურნეობანი, რომელთა რიცხვი ამჟამად 246-ს შეადგენს.

1921 წელს აჭარაში ჩაის პლანტაციების ფართობი უდრიდა 898 ჰექტარს, აქედან აჭარელ მშრომელ გლეხებს ეკუთვნოდა მხოლოდ 50 ჰექტარი, დანარჩენი მეფის გენერლების, ბეგების და [illegible] მამულების კუთვნილება იყო.

ახლა აჭარაში ჩაის 4304 ჰექტარი უჭირავს. მარტო გასული სამი წლის განმავლობაში საბჭოთა ხელისუფლებამ ჩაის კოლმეურნეობებს კრედიტის სახით 8 მილიონი მანეთი მისცა. 1935 წელს კოლმეურნეებმა ჩაითა და ციტრუსებით 16 მილიონი მანეთი შემოსავალი მიიღეს.

ჩაისთან ერთად [illegible] ცენტრში იყო მოქცეული ბრძოლა ციტრუსოვანი კულტურების გაშენებისა და მოვლა - პატრონობისათვის. ეს განსაკუთრებით შეეხება უკანასკნელ 3 წელს, როცა მივიღეთ მუშაობის კონკრეტული პროგრამა — საქ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის 1931 წლის 31 ოქტომბრის ისტორიული დადგენილება, როცა ამიერ-კავკასიის ბოლშევიკურ ორგანიზაციის სათავეში ჩაუდგა ამხ. ლ. ბერია.

1921 წელს აჭარაში იყო სულ 397 ჰექტარი ციტრუსოვანი ნარგავი, ახლა არის 1925 ჰექტარი, ხოლო 1940 წლისათვის [illegible] შევასრულებთ ციტრუსოვანთა განვითარების სტალინურ გეგმას და აუცილებლად გვექნება 6250 ჰექტარი ციტრუსების ფართობი.

ყოველწლიურად იზრდება ციტრუსოვანთა მოსავალი. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე აჭარაში წლიურად იკრიფებოდა 2 მილიონი ცალი ციტრუსოვანი ნაყოფი. 1935 წელს მოიკრიფა და სახელმწიფოს ჩაბარდა 160 მილიონი მანდარინი, 500 ათასი ლიმონი, 3,5 მილიონი ფორთოხალი.

მენშევიკების დროს ტუნგო იყო ნახევარი ჰექტარი, ახლა არის 977 ჰექტარი, თამბაქო იყო 38 ჰექტარი, ახლა არის 430 ჰექტარი.

დიდი ყურადღება ექცეოდა და ექცევა მეთამბაქოეობას და მეხილეობა-მევენახეობას. ამჟამად მეხილეობას უჭირავს 2.900 ჰექტარი, ხოლო წელს კიდევ გაშენდება 259 ჰექტარი. შარშან გაშენდა 200 ჰექტარი ვენახები. სულ კი ამჟამად გაშენებულია 40 სხვადასხვა ჯიშის ვენახი 270 ჰექტარზე, მათში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს „ჩხავერს“. ასეთივე მიღწევებია ბამბუკის, დეკორატიული და სხვა მცენარეების გაშენების მხრივ.

მეცხოველეობის განვითარების დარგში დიდი სტალინის მითითებათა შესრულებისათვის ბრძოლის შედეგად აჭარაში მეცხოველეობა სწრაფი აღმავლობის გზას დაადგა. მიღწეულია ნაშრაველის შენარჩუნების მაღალი პროცენტი, [illegible] მოვლა, კვების გაუმჯობესება და სხვ. ამჟამად მსხვილფეხა პირუტყვის სულადობა უდრის 99.630-ს, წვრილფეხა პირუტყვისა—71.123 სულს.

აჭარის კოლმეურნენი წარმატებით ანხორციელებენ დიდი სტალინის ლოზუნგს კოლმეურნეობების ბოლშევიკურად და კოლმეურნეების შეძლებულად გადაქცევის შესახებ. სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინურმა წესდებამ სწრაფად წასწია წინ ჩვენი კოლმეურნეობები. [illegible] დავასახელებთ ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობას — [illegible], მოლოტოვის, სტალინის, ანდრეევის, კალინინის, კიროვის სახელობის და სხვა კოლმეურნეობებს, სადაც შრომადღეზე კოლმეურნეებმა მიიღეს 12—15—18 მანეთი, გარდა იმ შემოსავლისა, რაც მათ საკარმიდამო ნაკვეთებიდან მიიღეს.

რომ კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდეს აჭარის სახალხო მეურნეობის ზრდის სურათი, შევეხებით ბიუჯეტს. 1923 წელს აჭარის რესპუბლიკის ბიუჯეტი უდრიდა 4.266.000 მანეთს, გასულ წელს კი—28.208.000 მანეთს. ზრდა შეადგენს 594 პროცენტს.

ჩვენი რესპუბლიკის ბიუჯეტის ასეთი ზრდა ნათლად მოწმობს, თუ რა დიდ დახმარებას გვიწევენ მოძმე ხალხები, საქართველოს, ამიერ-კავკასიის და საკავშირო მთავრობანი ჩვენი რესპუბლიკის განმტკიცების საქმეში.

1935 წლის ბიუჯეტიდან 11 მილიონ მანეთამდე დაიხარჯა მარტო სახალხო განათლებაზე, ჯანმრთელობის დაცვის საქმეზე დაიხარჯა 5.500.000 მანეთამდე.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა რესპუბლიკის დედაქალაქის —ბათომის კეთილმოწყობას. მარტო უკანასკნელი 4 წლის განმავლობაში ქალაქის კეთილმოწყობაზე 6 მილიონი მანეთი დაიხარჯა.

წარსულში მოუწყობელი, [illegible] ბათომი გადაიქცა ლამაზ, კეთილმოწყობილ, პალმებისა და ყვავილების ხეივნიან, ასფალტირებულ ქუჩებიან ქალაქად.

აჭარის რესპუბლიკის [illegible] მშენებლობაზე პირველ ხუთწლედში დაიხარჯა 1.343.000 მანეთი, მეორე ხუთწლედის მესამე წლის განმავლობაში დახარჯულია 2.604.000 მანეთი. დიდი კაპიტალური დაბანდებანი ჰქმნიან არსებული [illegible] გაფართოებისა და ახალი საკურორტო ობიექტების ათვისების შესაძლებლობას.

მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვას ხომ მთავარი ყურადღება ექცევა პარტიისა და ხელისუფლების მიერ. 1921 წელს მთელს აჭარაში იყო მხოლოდ ერთი სამკურნალო დაწესებულება — ქალაქის საავადმყოფო. ამჟამად კი რესპუბლიკაში 173 სამკურნალო დაწესებულება მუშაობს. 1921 წელთან შედარებით ორჯერ გადიდდა საექიმო პერსონალი.

დიდი მიღწევები გვაქვს ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური კულტურის განვითარების დარგში.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე მთელი აჭარის მოსახლეობის 93 პროცენტი წერა-კითხვის უცოდინარი იყო. ამჟამად აჭარის სოფლის მოსახლეობის 76 პროცენტმა იცის წერა-კითხვა, ხოლო ბათომში მთლიანად წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია.

აჭარაში 22 დაწყებითი სკოლა და 2 გიმნაზიის გახსნას საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე 40 წელი მოუნდა. საბჭოთა ხელისუფლებამ კი 15 წლის განმავლობაში აჭარის მშრომელთა გახსნა 300-მდე დაწყებითი, 44 არასრული საშუალო და 9 საშუალო სკოლა, 12 ტექნიკუმი და ერთი უმაღლესი სასწავლებელი.

დღეს ამ სკოლებში მუშაობს 1.344 მასწავლებელი, რომელთა შორის 151 აჭარელია. პედაგოგიურ ტექნიკუმში სწავლობს 250 აჭარელი, საპედაგოგიო ინსტიტუტში 50 აჭარელი და სხვ. შარშან დაწყებით და საშუალო სკოლებში მეცადინეობდა 27.000-ზე მეტი მოწაფე.

აჭარას არ ჰყავდა საკუთარი კადრები, საკუთარი ინტელიგენცია, გაშლილ სოციალისტურ მშენებლობას კი ესაჭიროებოდა ინჟინრები, აგრონომები, პედაგოგები, ექიმები და სხვა სპეციალისტები. 15 წლის განმავლობაში აჭარამ შექმნა საკუთარი საბჭოთა ინტელიგენცია. ათეულ და ასეულ აჭარელ ახალგაზრდობას მიეცა უმაღლესი განათლება, მარტო უკანასკნელი 4 წლის განმავლობაში ტექნიკუმებსა და სხვადასხვა კურსებზე მომზადდა 1.773 აჭარელი. საქართველოს უმაღლეს სკოლებში და საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქების უმაღლეს სასწავლებლებში ასობით სწავლობენ აჭარლები.

ყველა ამ მიღწევის შედეგად გაუმჯობესდა მშრომელთა კეთილდღეობა, ამაღლდა მათი კულტურული დონე, ცხოვრება ბედნიერი და საამური გახდა!

საბჭოთა აჭარა მოწინავე რესპუბლიკათა რიგებში დგას. ეს ბედნიერება, ეს სიხარული ჩვენ მოგვიტანა დიდმა ლენინ-სტალინის პარტიამ, გენიალურმა მასწავლებელმა, ხალხთა ბელადმა, დიდმა სტალინმა. ეს გამარჯვებები ჩვენ გვარგუნა აჭარელი ხალხის [illegible], საუკეთესო [illegible], ამიერ-კავკასიის და საქართველოს ბოლშევიკთა ნაცადმა ხელმძღვანელმა ამხ. ლ. ბერიამ.

წინ, ახალ-ახალი გამარჯვებისაკენ!

...ᲓᲐ ᲐᲛ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲔᲡ ᲗᲐᲚᲮᲘ ᲰᲑᲣᲠᲐᲕᲓᲐ

— ვინ გნებავთ?

— თუნთულ კვესიეშვილი აქ ცხოვრობს?

— დიახ, ბატონო!

— თუ შეიძლება გადაეცით, რომ „კომუნისტის" ბრიგადაა...

— სახლში არ გახლავთ, ბატონო.

— სიტყვას გვაწყვეტინებს თმახუჭუჭა გოგონა და დასძენს: ჩოლოქისაკენ წავიდა ცხენით.

პატარა, ჩამრგვალებული, სახედაბრაწული ბიჭუნა მოვარდა მანქანასთან და დაგვიწყო შურის თვალით ყურება. რომ მისი შური გაგვექარწყლებინა, მანქანაში ჩავისვით.

გოგონასაგან გავიგეთ, რომ თუნთული კოლმეურნეობის საქმეებზე წასულა ჩოლოქის ნაპირებისაკენ, სადაც ქობულეთის კარლ მარქსის სახელობის კოლმეურნეობას თავისი ნაკვეთები აქვს.

გადავწყვიტეთ საკოლმეურნეო მინდვრებზე გვენახულა ეს შესანიშნავი ადამიანი, სახელოვანი აჭარელი ქალი. დავძარით მანქანა და თან გავიტაცეთ თუნთულის შვილიშვილი პატარა 7 წლის ისმაილიც, რომელიც მეტად ხალისიანი იყო მანქანაში ჯდომით და იმითაც, რომ თავის „ნენესაც" (ბებიას) ნახავდა.

ქობულეთის კურორტის მწვანეში ჩაფლული თეთრი, გაკაშკაშებული სახლები უკან დაგვრჩა. უკვე ჩოლოქის ნაპირებს მივუახლოვდით, რომ გამოჩნდა მხედარი.

— ეს უსათუოდ თუნთული იქნება, — სთქვა რაიაღმასკომის მდივანმა, რომელიც თან მოგვყვებოდა.

რამდენიმე წუთი და უკვე თუნთულთან ვართ. იგი ცხენიდან ჩამოხტა. მივესალმეთ, გავიცანით ერთმანეთი.

გაბადრული მომღიმარი სახე შემოგვანათა თუნთულმა და დაგვიწყო საუბარი იმაზე, თუ რამ გამოიწვია მისი უეცარი გამგზავრება ჩოლოქის ნაპირებისაკენ.

მეზობელ კოლმეურნეობასა და მათ შორის ცოტა გაუგებრობა მომხდარა სათესი ფართობის თაობაზე და მისი ჩარევა აუცილებელი იყო.

ცხენზე ერთერთი ამხანაგი შევსვით. თუნთული ჩვენთან ჩამოჯდა მანქანაში, პატარა ისმაილს მოუალერსა და გამოვექანეთ თუნთულის სახლისაკენ.

მივედით შინ. თუნთული შევიდა თავის ოთახში, ჩვენ მიგვიპატიჟა. მაგრამ სახლში შესვლაზე უარი ვუთხარით და მზის საამურ სხივებს მივეფიცხეთ ეზოში.

მალე თუნთულიც მოვიდა ჩვენთან უკვე ახალ ლურჯ კოსტიუმში გამოწყობილი. მკერდს უმშვენებდა საკავშირო ცაკის წევრობის ნიშანი.

დავსხედით სკამებზე და დაგვიწყო თუნთულმა საამური საუბარი. ჯერ თავის გაწამებულ წარსულ ცხოვრებაზე გვიამბობს.

— ქვესიეშვილი ჩემი კი არა, ჩემი გარდაცვლილი ქმრის გვარია. პაპუნაიშვილია ჩემი გვარი. რეჯები ჰქვია ჩემს მამას. სიღარიბეში, ცივ მჭადით გამოზრდილი თხუთმეტი წლისა ვიყავი, როცა მამაჩემმა გამათხოვა და მომიშორა. შავი ჩადრი მიფარავდა მაშინ სახეს.

— ერთი წლის შემდეგ ქმარი მომიკვდა. დავრჩი ძუძუმწოვარა ბავშვით. წარმოიდგინეთ, რა მძიმე იქნებოდა ჩემი ცხოვრება. არავითარი სახსარი, არავითარი ქონება! ისევ ჩემს ღატაკ მამას შევეკედლე და ჩემი მთელი ახალგაზრდობა სიღატაკესა და სიდუხჭირეში გავატარე. რისი იმედი უნდა მქონოდა გაუნათლებელ, უვიც, ჩადრში გახვეულ ქალს.

— ასე ვიყავი თვითმპყრობელობის დროს, ასე ვიყავი მენშევიკების ბატონობის დროს. ხოლო საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებშივე რაღაც გარდატეხა ვიგრძენი ჩემს საკუთარ თავში.

აკი გნებავთ მოგიყვებით, რამ მიმცა ბიძგი იმისათვის, რომ ჩადრი ჩამომეხსნა და კულტურულ ცხოვრებას დავწაფებოდი.

— ძალიან გთხოვთ, — ვეუბნებით ჩვენ.

— ერთ დღეს მთავრობისათვის განცხადება უნდა მიმეცა რაღაც საქმის გამო. მივბრუნდი, მოვბრუნდი, და ვერავინ ხელი ვერ მომიწერა. მე ხელის მოწერა არ ვიცოდი. ასეთ მდგომარეობაში ჩავარდნილმა დავიხედე ხელებზე და ვთქვი, — რა ჯანდაბად მინდა ეს ხელები, ხელს თუ ვერ მოვაწერ ქაღალდზე მეთქი. რატომ უნდა მიბნელდებოდეს თვალებს ეს თეთრი ფურცელი. მოვიძრობ ჩადრს, ვისწავლი წერა-კითხვას, გავიგებ ქვეყნის ამბავს.

ასეც მოიქცა თუნთული. ეს იყო 1922 წელს. აღარ უძებნია განცხადებაზე ხელისმომწერი. აღარც განცხადება შეუტანია, დაბრუნდა შინ, მოიხადა ჩადრი და მიაგდო კუთხეში. წავიდა წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლაში, დაიწყო მეცადინეობა და მალე წერა-კითხვაც ისწავლა.

და ახლა ვინ არის თუნთული, იცით? ის გახლავთ საკავშირო ცაკის, [illegible] საბჭოს წევრი, პარტიის წევრობის კანდიდატი.

რით დაიმსახურა ასეთი დიდი პატივი თუნთულ კვესიეშვილმა? მით, რომ აჭარელ ქალებს წარუძღვა წინ ახალი ცხოვრების გზაზე. გაუხსნა მათ ქარგვის სასწავლებელი. ბევრი თავისი მეზობელი ქალი დაარწმუნა ჩადრის ტარების მავნებლობაში და როცა ქობულეთის კარლ მარქსის სახელობის კოლმეურნეობა ჩამოყალიბდა, იგი აჭარელ ქალთაგან პირველი გავიდა ბარით ხელში საკოლმეურნეო მინდორზე, დაარტყა ბარი ძლიერად და ბევრი მამაკაცი უკან ჩამოიტოვა თხრილის ამოღებაში. მაგალითად, თხრილის ამოღების ნორმა იყო 10 მეტრი. მან 20 მეტრი ამოიღო. მალე ბრიგადირი გახდა. იგი ხელმძღვანელობდა [illegible] ბრიგადას. მისმა მაგალითმა და დოვლათმა, რომელიც მას კოლმეურნეობამ მისცა, სხვა აჭარელ ქალებსაც აღუძრა კოლმეურნეობაში მუშაობის სურვილი და დღეს თუნთული გახარებულია იმით, რომ სამოცამდე აჭარელი ქალი მუშაობს მის კოლმეურნეობაში.

თვითონ ხომ სახელოვანი სტახანოველია თუნთული ჩაის ყველა სახის სამუშაოში. ნიადაგის მომზადება იქნება ეს, სასუქის შეტანა, გადაბარვა, ჩაის კრეფა თუ საერთო ხელმძღვანელობა. ამავე დროს იგი ზრდის ახალ სტახანოველს. მისი გამოზრდილია ჩაის სტახანოველი აიშე სამაძე, ფატიმა გაბიძაშვილი და სხვა, რომლებიც ორმაგად ასრულებენ ნორმებს ჩაის სამუშაოებში.

კოლმეურნეობის თავმჯდომარე ახლა კურსებზე მეცადინეობს და თუნთული უძღვება კოლმეურნეობის მთელ საქმეებს.

მან 334 შრომადღე გამოიმუშავა შარშან. თვითეულ შრომადღეზე მიიღო ფულად 6 მანეთი, ოთხნახევარი კილოგრამი სიმინდი და ერთი კილოგრამი ბრინჯი. ბარაქით სავსეა თუნთულის ოჯახი.

ჩვენს წინ დგას იშვიათი ნებისყოფის ადამიანი, ქალი, რომელიც მაგრად დგას ფეხზე და იმედითა და სიხარულით შეჰყურებს მომავალს.

აი ახალი ადამიანი, აი სტალინის ეპოქის ღირსეული შვილი, აი ახალი სიცოცხლე, რომელსაც თვითმპყრობელობისა და მენშევიკების ბატონობის დროს თალხი ჩადრი ჰბურავდა.

◇ ◇ ◇



თიხათის აქა-იქ თოვლით დაფარული მთები მონუმენტებივით აყუდებულან ხუცუბნის ჩრდილოეთ მხარეს. აი, ამ მწვანე გორაკზე ოსმან ემირიძის კოხტა სახლი რომ ციტრუსოვანთა ხეივანში ჩაფლულა, დგეხართ აყვავებული ვაშლისა და მსხლის ხეების ძირას, თავზე ყვავილები გაცვივათ, ხარბად ყნოსავთ მათ და გაიცქერით ცისკიდეზე გაკრულ კრიალა ზღვას, რომელზედაც მისცურავენ გემები და მეზღვაურების ნავები...

...და ყველაფერი ეს ბუნების სილამაზეა, ეს ბუნებაა აყვავებული. ...და ეს აყვავებული ბუნება და კრიალა ზღვა როდი იზიდავდა ქობულეთის რაიონის სოფ. ხუცუბნის გლეხს ოსმან ემირიძეს და მის მეგობრებს, ახლა რომ სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრები არიან.

წინათ, — ათეული წლების წინათ, ეს თვალწარმტაცი ბუნება მხოლოდ მეფეებს, ბეგებს, ოფიცრებსა და გვარიშვილებს უხარებდა გულს...

მაშინ ოსმანი ახალგაზრდა ბიჭი იყო, მამამის სულეიმანთან ერთად, როგორც დღეს თვითონ ამბობს, „ზღვაში ცხოვრობდა"...

ძველი მეთევზე იყო სულეიმანი. წამოიზარდა თუ არა ოსმანი, ნავში ამოიყვანა და ორივენი შავი ზღვის მრისხანე ტალღებს შეეჭიდნენ. შავი ზღვა მათთვის სილამაზე და სიმშვენიერე კი არ იყო, ეს იყო სარჩო-საზრდებელი. მათი ფიქრები, მათი ოცნებანი ზღვის უფსკრული იყო, უიმედოთ და უსასრულოთ როცა ზღვა ინავარდებდა... და თუ აქ მრისხანე ტალღები დაიმორჩილებდა, მაშინაც ზღვა თავის უბეში ჩაიკონებდა, უფსკრულს მიაბარებდა მწარე ცხოვრებით ტანჯულთა სხეულებს.

ასე იყო ნახევარი საუკუნის წინათ. ასე იყო 15 წლის წინათაც, მაგრამ ასე არ არის დღეს. დღეს, — ოსმანის ცხოვრების სამოცი წლისთავზე და საბჭოთა აჭარის 15 წლისთავზე, სუბტროპიკულ მცენარეებში და პალმებით მოქარგულ ქალაქებსა და ფაბრიკა-ქარხნებში ახალი საამური ცხოვრება [illegible]. დღეს ეს აყვავებული ბუნება აყვავებულ ცხოვრებას ამკობს...

O

უკანასკნელ წლებამდე ოსმანი მეთევზეთა კოლმეურნეობაში მუშაობდა, პატარაობიდანვე შეჩვეოდა ამ საქმეს და მოშორება ეძნელებოდა. მისი შვილები კი სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში დაარსებიდან მუშაობდნენ.

ორმოცდათოთხმეტი წლის ოსმანმა შარშანწინ მიაბარა თავი ზღვას და თავის შვილებს ამოუდგა გვერდში. საკოლმეურნეო მინდვრებზე და თავის საკარმიდამო მიწაზე დარგულ მანდარინის ხეებს თვალისჩინივით უვლიდა. გასული წლის 848 შრომადღემ ბევრი რამ შეიტანა მის ოჯახში — სახლიც [illegible] დადგა, ცოლსაც და შვილებსაც. 20.000 მანეთი მისცა მას სახელმწიფომ ჩაბარებული მანდარინის საფასურად.

დიდ კოლმეურნეულ ოჯახში რკინის საწოლები და სუფთა ლოგინები გაიშალა. ოსმანს არ ახსოვს ისეთი წელიწადი, რომ თავისი ხოდაბუნის სიმინდი წლის ბოლომდე ჰყოფნოდა 15 სულიან ოჯახს. შარშან 848 შრომადღეზე მან მიიღო 5.000 კილოგრამამდე სიმინდი, 500 კილო ბრინჯი და სხვა პროდუქტები.

მართლაც რა დროს მოხუცებაზეა ლაპარაკი! იგი შეჰყურებს 11 შვილის ბედნიერებას, საკოლმეურნეო ცხოვრების სილამაზეს და ახალგაზრდული გატაცებით დასტრიალებს ჩაის პლანტაციებს...

...და აი ახლა ოსმანი ჩვენთან ერთად ზის აყვავებული ვაშლის ხის ძირას და გასცქერის ლამაზ ზღვას...

ესმით — სუბტროპიკებიდან [illegible] საღამოს სიოს, მანდარინების ფოთლებს რომ ეთამაშება, თან მოაქვს გიტარის წკრიალა ხმები...

ეს სკოლიდან დაბრუნებული გოგო-ბიჭები აჟღერებენ გიტარის სიმებს ოსმანის ახალი კოხტა [illegible] სახლის ფართო აივანზე...

ინდუსტრიული ბათუმი

ვის არ ახსოვს ბათუმი საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე!

ქალაქის განაპირა უბნებში ჭაობიანი ლაფი, ბალახით დაფარული ცენტრალური ქუჩები, ყოველ ფეხის გადადგმაზე ყავახანები და ლუდხანები, ზაფხულში თეთრი ფლანელის ქვეშ რომ გამოდგამდნენ მაგიდებს. ისხდნენ უსაქმო ადამიანები, [illegible], რომლებიც ერთ ჭიქა თურქულ ყავაზე ათენებდნენ დილას და დოშის? თამაშში... [illegible]

დღეს გასცდებით თუ არა მატარებლით მახინჯაურის სადგურს, რამდენიმე წუთი და თქვენ უკვე იგრძნობთ ინდუსტრიული ქალაქის მაჯისცემას.

თქვენს თვალწინ აღიმართებიან აშოლტილი შავი მილები, რომლებიც დაუსრულებლივ ბოლავენ. ქშინავენ და ფეთქავენ ფოსტერის დაკლაკნილი მილები — ჯენკინსები და ვინკლერ-კოხები.

შავი ოქროს ქალაქის შადრევნებიდან ამოხეთქილ და 800 კილომეტრიან თუჯის მილებში მორბენალ ნავთს ხარბად დასწაფებიან კუბო-ბატარეები და დღედაღამ განუწყვეტლივ იწოვენ მას. ათასეული მილებით მიაქვს დიდრონ აუზებში ნავთი, ბენზინი, გაზოლინი, ლიგროინი...

გაიხედავთ მარჯვნივ, ზღვის პირად რეიდში ჩამდგარან ნავთის მზიდავი ვეებერთელა გემები, რომელთაც საჩქაროდ უერთებენ შავ მილებს და მიაქვთ ძვირფასი სითხე გემების აუზებში.

ბათუმის ნავთის გადამამუშავებელი ქარხნები ყოველწლიურად აძლევენ ქვეყანას სამ მილიონ ტონა გადამუშავებულ ნავთის პროდუქტებს და მილიონი მანეთები შეაქვთ პროლეტარული სახელმწიფოს სალაროში.

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ რაც აქ ქარხნების გვერდით აღიმართა ასფალტ-ბიდონის კომბინატი, სადაც მექანიკურად მზადდება ათასობით თუნუქის ჭურჭლები, რომელნიც ივსებიან ვეებერთელა ქვაბებიდან და რომელთაც კონვეიერი მიაგორებს საწყობებისაკენ, გემებისაკენ, სადგურებისაკენ...

აქვე ხედავთ საბჭოთა კავშირში პირველ ზეთებისგადამამუშავებელ ქარხანას, ბოლოს სასახლესავით რომ გაჭიმულა [illegible] მილების გვერდით. ათასეულ აპარატებში ლაპლაპებს კრიალა სითხე და ივსება ათეული მილის ბალონები...

ასეთია ამ რამდენიმე წლის წინად მიყრუებული ყარადერეს ჭაობიანი გაუვალი ტყეები, სადაც დღეს ასე ძლიერად სცემს ინდუსტრიული ბათუმის გული.

აქ სტალინის სახელობის ასფალტირებულ გზატკეცილზე, ბათუმიდან მწვანე კონცხამდე რომ გაჭიმულა, წიწვოვან ხეივნის გასწვრივ აღმართულან მრავალსართულიანი ლამაზი თეთრი სახლები, სადაც ცხოვრობენ საპატიო ადამიანები, შავი ოქროთი რომ ამდიდრებენ სოციალისტურ სამშობლოს.

აქ ცხოვრობს ბოლშევიკი-სტახანოველი **სოლომონ ხალვაშიძე**, 7 წლის წინათ პირველმა რომ დაანთო ცეცხლი კომკავშირის სახელობის ბატარეაში და ამცნო ქვეყანას, რომ ბათუმში იმ დღეს ამუშავდა ეს საამაყო გიგანტი.

ნავთის ქარხნების აგრეგატების და ათეული საბჭოთა მანქანების გრიალმა გააღვიძა აჭარის მთების კალთებში მთვლემარე სოფლები, საიდანაც დაიძრნენ ახალი ცხოვრებისაკენ აჭარელი ახალგაზრდები.

შეხედეთ მემედ ფალავას, სარჯველაძეს, ნაკაშიძეს და ასობით აჭარელ კაცებს, გუშინდელი ღატაკი გლეხების ვაჟიშვილებს, მძლავრი მკლავებით და სალი გონებით რომ დაუპყრიათ ფოსტერი და ჯენკინსი — საბჭოთა ქარხნების ეს ურთულესი მექანიზმები.

გაიარეთ ბარცხანაში. ეს ის ბარცხანაა, სადაც სჭექდა და ჰქუხდა ფოლადის ადამიანის, დიდი სტალინის მრისხანე ხმა — მოწოდება თვითმპყრობელობისა და კაპიტალიზმის დასამხობისაკენ.

აქ რომ ფეხს დადგამ, უთუოდ გადაეშვები ბათუმის რევოლუციური მუშების გმირული ბრძოლის ისტორიაში. აქ რომ დგეხარ, თვალწინ გიდგას როტშილდის ქარხნის მრისხანე დირექტორი ვანშეიდტი, რომელმაც 1902 წელს 26 თებერვალს სრულიად უმიზეზოდ დაითხოვა 389 მუშა. თვალწინ წარმოგიდგებათ ამ ხიდებზე ამბოხებულ მუშების არმია, ახალგაზრდა სტალინის დავალებით რომ მიატოვეს კაპიტალისტის დაზგები, გვერდში ამოუდგნენ დათხოვნილ მეგობრებს და თავისი გაიტანეს.

აღარც როტშილდი, აღარც მისი მრისხანე დირექტორი ვანშეიდტი, აღარც მანთაშევი, აღარც [illegible] და ძმები [illegible]. აღარც მათი დამცველნი — ჟანდარმები და ბოქაულები...

დღეს აქ სტალინის ეპოქის ადამიანები ფუსფუსებენ და დაკავებულნი არიან იმისათვის, რომ გაძლიერდეს სოციალისტური სახელმწიფოს ეკონომიკა. აქ მოთავსებულია საკავშირო ნავთგასაღების ბათუმის ბაზა.

ყოველწლიურად იზრდება ამ ბაზის ტექნიკური შეიარაღება, ყოველდღე იბადებიან სტახანოველები — საბჭოთა ქარხნის სახელოვანი ადამიანები.

გასცდებით ამ ადგილს და საერთაშორისო მთების ძირას ხედავთ საბჭოთა კავშირში პირველ ბუნებრივი [illegible] ქარხანას.

ამით როდი ამოიწურება ინდუსტრიული ბათუმის სამომავლო [illegible]. ბათუმს აქვს ჩაის ფაბრიკების მოწყობილობათა მანქანათმშენებელი ქარხანა, ოდესღაც ჭაობიან ველზე რომ გადაჭიმულა და თანდათან იპყრობს ახალ ფართობებს. კიდევ ორიოდე წელი და ეს ველები დაიფარება მრავალსართულიანი მუშათა ბინებით — აქ აშენდება ქალაქი, სადაც 3.000 მუშა დაბინავდება. ეს ქარხანა მისცემს ჩვენი საბჭოთა ცეილონის ფაბრიკებს ყველა იმ მოწყობილობას, რომელიც წინათ უცხოეთიდან შემოგვქონდა.

საკონსერვო ფაბრიკა, თამბაქოს ფაბრიკა, საპნის ქარხანა, ტყავის და ფეხსაცმლის ფაბრიკები და მრავალი სხვადასხვა საწარმო...

აი, როგორ შეიცვალა, როგორ გაცოცხლდა და როგორი გიგანტური ნაბიჯებით წავიდა წინ საბჭოთა ბათუმი — სუბტროპიკულ აჭარის ინდუსტრიული ქალაქი.

ხულოსა და ქედის რაიონების კოლმეურნეობათა სტახანოველები; მარცხნიდან მარჯვნივ: ვ. ფუტკარაძე, ზ. მახარაძე, ი. გოგოლაშვილი, ა. ჩხიკვაძე, რ. პაპიძე.

◇ ◇ ◇ ◇

ᲘᲖᲠᲓᲔᲑᲘᲐᲜ ᲐᲭᲐᲠᲔᲚᲘ ᲛᲬᲔᲠᲚᲔᲑᲘ

საუკუნოების განმავლობაში დესპოტთა მონობის უღელქვეშ გმინავდა აჭარელი მშრომელი ხალხი, რომელსაც მე-16 საუკუნის დასაწყისში სულთნებმა წაართვეს ენა, ჩამოაშორეს საქართველოს და მძიმე ლოდი დაადვეს მათ შემოქმედებას, ამიტომ არ შეეძლო შეექმნა საკუთარი ლიტერატურა.

ცარიზმი ხომ თავისი ჟანდარმული ქუსლით სთელავდა როგორც საქართველოს, ისე ასე მომძმე აჭარის შემოქმედებითს ძალებს. კიდევ უარესი მდგომარეობა იყო მენშევიკების დროს.

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ გაიღვიძა აჭარის მშრომელმა ხალხმა და წელში გაიმართა. იმ ბუმბერაზულ მიღწევებთან ერთად, რაზეც დღეს სიამაყით ლაპარაკობენ აჭარელი ბოლშევიკები და რამაც [illegible] შეცვალა, აჭარელ მშრომელ ხალხს შეუძლია აღნიშნოს საგრძნობი მიღწევები მხატვრული ლიტერატურის ფრონტზე.

დღეს საბჭოთა აჭარას ჰყავს მხატვრული სიტყვის ოსტატები: ახალგაზრდა პოეტები, მწერლები, ჟურნალისტები, ლიტერატორები. ახალგაზრდა პოეტი ქალი ფატი დადიანი თავის ნიჭიერ ლექსებში უმღერის აჭარის მშრომელებს, **ხურიტ პაპუნაშვილი, ხასან ხარაძე, ახლან კაკაციშვილი, მემედ ვარშანიძე,** პროზაიკოსი მემედ მეგრელიძე, ნიჭიერი ლიტერატორი **ჯემალ ნოღაიდელი** და სხვები ოსტატურად ჰხმარობენ მხატვრულ კალამს და წინ მიდიან შემოქმედებითი გზაზე. ისინი გამოსულნი არიან აჭარის მშრომელი ხალხის წიაღიდან. მათ შემოქმედებას ფრიად დიდ მნიშვნელობას აძლევს საბჭოთა ხელისუფლება.

მრავალმეტყველია ის ფაქტი, რომ აჭარის სახელგამმა, რომელსაც დღემდე მრავალი სხვადასხვა წიგნი გამოუშვია აჭარის მშრომელთათვის.

აჭარის სახელგამი წელს გამოუშვებს 54 სხვადასხვა სახელწოდების წიგნს. ასე დღითი დღე იზრდება აჭარის საბჭოთა მწერლობა.

იზრდებიან და მტკიცდებიან აჭარის ლიტერატურული კადრები.

◇ ◇ ◇ ◇ ◇

ᲨᲐᲕᲑᲜᲔᲚᲘ ᲬᲐᲠᲡᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲐᲧᲕᲐᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲬᲛᲧᲝ

ვინ არ დაურბევია ეს კუთხე! რამდენი თავდასხმა, ურდოების შემოსევა, რამდენი აწიოკება არ ახსოვს შავი ზღვის კიდეზე [illegible] ციხეებს [illegible]...

ხალვათის ხეობის ხათავებში მიუვალ ფრიალო კლდეზე მკრთალად დანგრეული ბურჯებივით მოჩანს დღეს ხიხანის ციხე. ამ ციხეს ახსოვს აჭარის მთის შვილთა გმირული ბრძოლები სულთნების და შაჰების ჯარებთან. იგი მოწმეა ოსმალეთის სულთნის ჯარების შემოსევისა ოთხასი წლის წინათ. მოწმეა, როგორ მიადგნენ შავი ზღვის წყნარ ნაპირებს ამ ჯარით დატვირთული ფელუქები, როგორ [illegible] და [illegible] მშვიდობიანი მოსახლეობა.

აჭარაში დღემდე დარჩენილია ლეგენდა, თითქოს [illegible] შაჰის თავდასხმის დროს თამარ მეფეს ამ ციხეში შეეფარა თავი. შაჰს თამარის ცოლად შერთვა გადაუწყვეტია. თამარს უარი უთქვამს. მაშინ [illegible] ციხეები, რომელთა ნანგრევებს მრავლად შეხვდებით აჭარის მთებში, თითქოს თამარს მაშინ აუშენებია.

თამარს დიდი ჯარი ჰყავდაო, — მოგვითხრობენ მოხუცი აჭარლები, რომ აჭარის წყლის ხეობიდან გამწკრივებულან, ციხის საშენი მასალა ხელიდან ხელში გადაუციათ ერთმანეთისათვის და ერთი დღის განმავლობაში აუშენებიათ ხიხანის ციხე.

შაჰი დიდი ჯარით თამარის წინააღმდეგ წამოსულა, შაჰს ერთ ციხეში [illegible], მაგრამ თამარი გაქცეულა და მეორე ციხისათვის შეუფარებია თავი, [illegible] ციხეში და გაუმაგრებია იგი. [illegible] შაჰი ციხეს შეება, მაგრამ მისი აღება ვერაფრით ვერ მოახერხა.

ბოლოს თამარს მოუფიქრებია ერთი [illegible]. კაცი გაუგზავნია შაჰთან და უთქვამს: „თუ [illegible] მომცემთ, [illegible] ციხეს". შაჰი შეპირებია. [illegible] ათასამდე თეთრი თხა, ამ თხებისთვის რქებზე სანთლები დაუმაგრებიათ, [illegible] ღამეში [illegible] სანთლები და თხები ხიხანის ციხისაკენ [illegible]. [illegible] რომ თამარის [illegible] დაინახავს, უთქვამს: „[illegible] ჯარი მაგათ ვეღარ გავუმკლავდებით", [illegible] ციხეში, [illegible] ცეცხლი არ [illegible] ხელში, რადგან გზა [illegible] ციხეში მოუკლავს თავი.

...და ვინ იცის, რამდენი ზღაპარი არსებობს ხალხში იმ ტრაგიული თავდასხმების შესახებ, რომელთაც აწყობდნენ საქართველოსა და აჭარაზე სულთნები და შაჰები...

ოთხასი წლის წინათ მოხდა ოსმალ დესპოტის მიერ საქართველოს ამ ლამაზი კუთხის დაპყრობა და გამაჰმადიანება. ნაციონალური გადაგვარება და კულტურული დეგრადაცია, მაჰმადიანობის იძულება, [illegible], დატყვევება, მონობა, ქალთა [illegible] განწირვა, მათი სავაჭრო ნივთად გადაქცევა — აი რა მოუტანა სულთანმა აჭარლებს.

მშრომელ ხალხს მაშინ დაასხდნენ კისერზე ხოჯები, მოლები, ბეგები.

მიჰქროდნენ [illegible] ნავები და თან მიჰყავდათ ქართველი მხევლები — სტამბოლის [illegible] ჰარამხანებისათვის.

მეორე დესპოტი — რუსეთის მეფეც საქართველოს ხელში ჩაგდების შემდეგ ამ კუთხესაც ეპოტინება. 1877-78 წლებში რუსეთი ომის შემდეგ ამარცხებს ოსმალეთის ჯარებს და იპყრობს აჭარას.

1878 წლის 25 აგვისტოს რუსეთის ჯარები გენერალ სვიატოპოლკ-მირსკის წინამძღოლობით შედიან ბათუმში. ოსმალეთის ჯარების [illegible] გადის ქალაქიდან.

მაშინ ბათუმი [illegible], [illegible] ტყე, ჯაგნარით და [illegible].

მაშინ ბათუმში იყო სულ 8 ათასი მცხოვრები, [illegible] ქუჩები [illegible] ერთიმეორის [illegible].

ბეგებს, ხოჯებს, მოლებს [illegible] თვითმპყრობელობის ერთგული მსახურნი, [illegible], ჟანდარმები, მოხელეები, [illegible] და ჩარჩები, რომლებიც [illegible] მშრომელებს.

კაპიტალისტებმა, ბათუმისაკენ [illegible] გზა, მათ [illegible] ბათუმი, როგორც ნავთის [illegible] სტრატეგიული [illegible]. [illegible] ბათუმში [illegible] როტშილდი, მანთაშევი, [illegible] და შავი ზღვის [illegible].

ბათუმში წარმოიშვა მუშათა კლასი, რომლის საბრძოლო ახალგაზრდობას [illegible] იხელმძღვანელა მთელი პროლეტარიატის ბელადმა ამხ. **ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲛᲐ**.

ოციოდე სხვადასხვა ფირმა ამუშავებდა ბათუმში, ამ ფირმებში მუშებს [illegible] ქალაქი, [illegible] გლეხების [illegible], რუსეთის მეფის [illegible] რეჟიმის ქვეშ, [illegible] აწიოკება — აი, რა მოუტანა დესპოტმა [illegible] მეორედ აჭარის მშრომელ ხალხს.

მაგრამ აჭარის გმირი ხალხი, რომელსაც ბევრი საშინელება უნახავს, არ დრკება და ცარიზმის რეპრესიებს აჯანყებით უპასუხებს. როტშილდის და მანთაშევის ქარხნებში დიდი ბელადის ნიჭით დანთებული რევოლუციის ცეცხლი ედება აჭარის მთების კალთებში მცხოვრებ ღარიბ გლეხკაცობას და ისინიც ჯანყდებიან ქედაში, ხულოში, [illegible] და სხვ.

თავდადებულად იბრძოდნენ მთელი რიგი წლების მანძილზე აჭარის მშრომელები კაპიტალიზმის წინააღმდეგ.

მოხდა 1917 წლის თებერვლის რევოლუცია. [illegible] მენშევიკების. ბატონობას [illegible] ისევ ბეგებს [illegible]. [illegible] მესაკუთრეები ფლობენ ქარხნებს და აჭარის მშრომელები კვლავ სულს ღაფავენ შიმშილსა და სიღატაკეში.

აჭარის [illegible] გადაიქცა საერთაშორისო იმპერიალისტების [illegible]. 1918 წლის პირველ აპრილს თურქები იკავებენ ბათუმს, ნოემბრამდე გრძელდება ბათუმის ოკუპაცია თურქების მიერ. მენშევიკები ინგლისელებს ეპატიჟებიან ბათუმში. აჭარის მშრომელი ხალხი ისევ გმინავს... [illegible] ინგლისელი, იტალიელი და ფრანგი [illegible].

და მხოლოდ მაშინ ამოისუნთქა მშრომელმა აჭარამ, როცა გემი „მარია" მოსწყდა ნაპირს [illegible] და თან წაიღო „დემოკრატიული" ჯოჯოხეთის მოციქულები.

საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ აჭარელი მშრომელები საბჭოთა კავშირის მრავალმილიონიან მშრომელებთან ერთად ხედავენ ახალ ცხოვრებას, [illegible], [illegible] — ამხანაგმა **ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲛᲐ**.

ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘ ᲑᲐᲗᲣᲛᲨᲘ

— **1901 წლის 31 დეკემბერს ამხ. ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲛᲐ** ვითომ ახალი წლის შეხვედრის საბაბით სილიბისტრო ლომჯარიას სახლში მოაწყო მასობრივი კრება.

— **1902 წლის 31 იანვარს ამხ. ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡ** ხელმძღვანელობით მოეწყო პირველი გაფიცვა როტშილდის ქარხანაში. გაფიცვა მუშების სრული გამარჯვებით დამთავრდა.

— **1902 წლის 27 თებერვალს ამხ. ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡ** ხელმძღვანელობით იმავე როტშილდის ქარხანაში მოეწყო მეორე გაფიცვა, რომელიც აგრეთვე მუშების გამარჯვებით დამთავრდა.

— **1902 წლის 8 მარტს როტშილდის ქარხნის მუშათა დემონსტრაცია მიადგა ბათუმის ციხეს და მოითხოვა წინაღამით დაპატიმრებული მუშების განთავისუფლება. დემონსტრაცია მოწყობილი იყო ამხ. ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡ მიერ.**

— **1902 წლის 9 მარტს** [illegible] თვითმპყრობელობის ჟანდარმებმა და კაზაკებმა სროლა აუტეხეს მუშათა დემონსტრაციას, რომელიც მოითხოვდა [illegible] მუშების განთავისუფლებას. დემონსტრაცია მოწყობილი იყო ამხ. სტალინის მიერ.

— **1902 წლის 5 აპრილს** ლიმანშელის მიდამოებში დააპატიმრეს ამხ. **ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘ**.

— **1903 წლის 3 მარტს** ბათუმის ქარხნების მუშები გამოვიდნენ დემონსტრაციაზე სადგურიდან იმ ვექილების გასაცილებლად, რომლებიც ჩამოიყვანეს 1902 წლის 9 მარტის საქმის გამო დაპატიმრებული მუშების დასაცავად.

— **1903 წლის 9 მარტს ამხ. ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘ** გადაიყვანეს ქუთაისის ციხეში.

(ᲐᲭᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲑ. ᲐᲠᲥᲘᲕᲘᲡ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘᲓᲐᲜ).

◇ ◇ ◇



რარიგ წარმტაცია ეს მიდამო. კახაბრის ველი უკვე საგაზაფხულოდ იკაზმება. ხეხილებს უკვე ყვავილების თეთრი მოუსხამთ, გზადაგზა პალმები [illegible] გადაშლილან.

მშობლიური სტალინის უზარმაზარი სურათი რომ გამოუკვეთიათ აგერ აჭარის მთის შესადგომთან, — აი აქ იწყება იმ გიგანტის ტერიტორია, რომელსაც აჭჰესი ეწოდება. იგი საზეიმოდ ირთვება, იგი აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების თხუთმეტი წლისთავის ერთერთი საპატიო [illegible].

80 პროცენტით მზადყოფნა ექსპლოატაციისათვის, — აი რა მიღწევით ხვდება აჭჰესი აჭარის მშრომელი ხალხის ზეიმს.

სამუშაოთა პირველ უბანზე უკვე მზად არის საგენერატორო სადგური, ტურბინებისა და გენერატორების მონტაჟიც დამთავრებულია, მზად არის [illegible] კომპლექსი. აკვედუკის, რომლის მსგავსი ჯერ საბჭოთა კავშირში არ აგებულა (სიგრძით 85 მეტრი), ძირითადი სამუშაოები დამთავრებულია. მარჯვენა გვირაბიც მზად არის. სწარმოებს მხოლოდ „ტორკრეტირება". გაცხოველებით სწარმოებს ღია და დახურული ქვესადგურების მონტაჟი.

მეორე უბანზე მარცხენა გვირაბი, სიგრძით 2.390 მეტრი, დასრულებულია. მესამე უბანზე დამთავრებულია წყლის წარმმართველი კაშხალი, გამრეცხი რაბი. დამთავრებულია მიწის ყველა სამუშაო. მეოთხე უბანს წარმოადგენს გადამცემი ხაზი ბათუმამდე და ბათუმის ქვესადგური. ხაზზე ბოძებისათვის მიწის სამუშაოები დამთავრებულია, [illegible] გზებიც მზად არის. დაწყებულია ბოძების დადგმა. ბათუმის ქვესადგურის მშენებლობაც დამთავრებულია და სწარმოებს [illegible].

ყოველივე ეს შედეგია აჭჰესის ინჟინერ-ტექნიკოსთა და მუშათა კოლექტივის თავდადებული, სტახანოვური მუშაობის. აჭჰესის კოლექტივმა სტახანოვური დეკადა ბრწყინვალედ დაამთავრა, მან პირველობა აიღო „ჰიდროელექტრომშენის" ხაზით. აჭჰესელები 15 მარტიდან გადავიდნენ სტახანოვურ ერთთვიურზე და ცდილობენ მიაღწიონ თვიური გეგმის 175 პროცენტით შესრულებას.

და ისინი ამას შეასრულებენ, რადგან დღითიდღე მრავლდებიან სახელოვანი ადამიანები, სტახანოველები. აჭარელი ინჟინრები, ტექნიკოსები და მუშები ისე დაეუფლნენ ახალ სამუშაოთა ტექნიკას, რომ პირდაპირ სასწაულებს ახდენენ. მაგალითად, დამბეტონებლების [illegible] ბრიგადა, რომელსაც სათავეში უდგას აჭარელი ახალგაზრდა ინჟინერი **ისმაილ ლორთქიფანიძე**, სტახანოვურ [illegible] და დეკადაში დავალებებს 275 პროცენტით ასრულებდა. ამხ. ლორთქიფანიძემ შესძლო მუშაობის ახალი მეთოდების დანერგვა, მუშაობის ორგანიზაციის მთელი სისტემის ახალ, სტახანოვურ რელსებზე გადაყვანა. მისივე [illegible] ნორმებს 200—300 პროცენტით ასრულებს.

აი ასეთი აჭარელი კომკავშირელი ბრიგადირი **ახმედ შერვაშიძე**. იგი მშენებლობის დაწყებიდან მუშაობს აჭჰესში. იგი ჩაუდგა სათავეში სტახანოვურ მოძრაობას, და აი, მიაღწია იმას, რომ ბრიგადა, რომელსაც იგი ხელმძღვანელობდა, 1935 წლის 1 ნოემბრიდან დაწყებული, მუდმივად იძლეოდა ნორმების 200—350 პროცენტით შესრულებას. თვითონ ამხ. შერვაშიძემ, წაბაძა რა სახელოვანი ალექსი სტახანოვის რეკორდით, ამა წლის 24 იანვარს ბეტონის [illegible] 654 პროც. შეასრულა დღიური [illegible].

და რამდენია ასეთი სტახანოველი. განა მარტო იმშია აჭჰესის უდიდესი მნიშვნელობა, რომ იგი სულ მალე 23.000 ცხენისძალოვან ელექტროენერგიას მისცემს აჭარისა და საქართველოს სახალხო მეურნეობას, რომ იგი ერთგულ ძმასავით გვერდში ამოუდგება რიონჰესსა და ზაჰესს?

არა, მარტო ამაში როდია მისი უდიდესი მნიშვნელობა. 350 აჭარელმა მიიღო აქ ტექნიკური „ნათლობა", მიიღო მაღალი კვალიფიკაცია. მაგალითად, უბრალო მიწის მუშა იყო ისმაილ კახიძე, როცა აჭჰესში დაიწყო მუშაობა. ახლა იგი უფროსი მექანიკოსია, რამდენჯერმე დაჯილდოებული სტახანოველი, საპატიო ადამიანი. ასეთივე უბრალო მუშები იყვნენ: **ბედირ თავდგირიძე, ბედირ სალაძე.** ახლა პირველი ელექტრომონტიორია, მეორე — ზეინკალი.

როცა სადგური ამუშავდება, ექსპლოატაციაზე მომუშავეთა 90 პროცენტი აჭარელი კადრები იქნებიან. 32 აჭარელი ზაჰესში ეცნობა სადგურის ექსპლოატაციის ტექნიკას.

და ასე იზრდებიან, ეწაფებიან ახალ ტექნიკასა და კულტურას გუშინდელი ღარიბი აჭარელი გლეხის ვაჟიშვილები და ქალიშვილები, რომელთაც ცოდნითა და გამოცდილებით შეიარაღებულთ, წინ მიჰყავთ ყვავილოვანი სუბტროპიკული აჭარის საამური და ბედნიერი ცხოვრება.

ხ. ხუცუბანი. 12 მარტი.

◇ ◇ ◇

ᲘᲜᲟᲘᲜᲔᲠᲘ ᲙᲝᲠᲤᲝᲮᲘᲓᲐᲜ

გუშინდელი დღესავით ახსოვს **ოსმან შანიძეს** ყველაფერი.

ჯერ სამი წლისა ძლივს იქნებოდა, დედა რომ მოუკვდა. მამამისს კი სრულებით არ ეცალა, რომ შვილს [illegible] და გაეზარდა, ხოლო მისი უფროსი ძმები [illegible] და სულეიმანი ხომ დილიდან საღამომდე ბეგების ყანაში მუშაობდნენ.

8 წლისა რომ შეიქნა, აჭარული ჩაქურა ჩააცვეს, ხელში ჯუზი (პირველდაწყებითი წიგნი) მისცეს და მედრესეში ხოჯასთან გაგზავნეს.

უზრდელი ხოჯა-ვერაგი, შეუბრალებელი ვინმე იყო.

ოსმანის ტიტველ ფეხებს და ხელებს ბევრჯერ მოხვედრია ხოჯის ჯოხი. ხოჯასაგან ნაცემი ბავშვი სახლში რომ გაიქცეოდა, იქ მამა სცემდა. „ხოჯის ნაცემი ადგილები „ჯენეთში" (სამოთხეში) არ დაიწვება და კარგია, რომ გცემოს".

ასე იყო წინათ, მაგრამ ახლა სულ სხვაა.

1921 წლის 18 მარტს ბოლშევიკების ხელმძღვანელობით აჭარის მშრომლებმა საბჭოების წითელი დროშა აღმართეს.

ძველმა ხულომ გამოიცვალა სახე. გაიხსნა სკოლები, ქოხ-სამკითხველოები, თეატრი, წითელი კუთხეები.

— 1924 წლის 3 იანვარი იყო, როცა მამაჩემმა მედრესეში გამგზავნა და მე კი სოფ. დიდაჭარის დაწყებით სკოლაში მივედი, — ლაპარაკობს ოსმან შანიძე ისე, თითქოს ეს ამბავი გუშინ მომხდარიყოს.

1924 წლის 9 [illegible] ოსმანი პარტიის აჭარის ოლქკომის წარმომადგენლებმა სხვა ბავშვებთან ერთად აჭარელ ბავშვთა სახლში წაიყვანეს. ოსმანს აქ პირველად შეუქმნა [illegible] და [illegible] დაიწყო. მაგრამ [illegible] მასწავლებლების გულითადმა ყურადღებამ მალე შეაჩვია აქაურ ცხოვრებას.

1925 წლის ოქტომბერში ოსმან შანიძე მიიღეს ბათუმის პედტექნიკუმის მე-5 ჯგუფში.

ოსმანმა 1930 წელს დაამთავრა აჭარის პედტექნიკუმი, და შევიდა ამიერ-კავკასიის საინჟინრო-მელიორატიულ ინსტიტუტში, რომელიც 1932 წელს გადატანილი იქნა განჯაში. მაშინ ოსმანმა გადაირიცხა საქართველოს საინჟინრო სამშენებლო ინსტიტუტში, რომელიც რეორგანიზაციის შემდეგ გადაკეთდა ამიერკავკასიის ინდუსტრიულ ინსტიტუტად.

ტფილისში სწავლის დროს ოსმანი იგზავნებოდა მოსკოვში, მაგნიტოგორსკში და სხვ. პრაქტიკულ სამუშაოზე.

გასული წლის თებერვალში ოსმან შანიძემ დაამთავრა სამშენებლო ფაკულტეტის თეორიული კურსი და მიიღო დიპლომი.

მიმდინარე წლიდან ოსმან შანიძე მუშაობდა ბათუმის პედტექნიკუმის აღმშენებლობაზე, საიდანაც გადაიყვანეს ხულოში მთავარ ინჟინრად.

მოხუცი მამა მეხტი ახლა კი მიხვდა, თუ რა დიდ დანაშაულს ჩადიოდა, როცა ოსმანს სკოლაში სიარულს უკრძალავდა.

ოსმან შანიძით, რომელმაც ხულოს რაიონიდან პირველმა მიიღო უმაღლესი განათლება, ამაყობს არა მარტო მისი მოხუცი მამა მეხტი, არამედ მთელი საბჭოთა აჭარის მშრომელები.

ახლა ხულოს რაიონში ბევრი ცდილობს გაჰყვეს ოსმან შანიძის კვალს. მისი მაგალითის მიხედვით გასული წლიდან ტფილისის ვეტერინარულ ინსტიტუტში უკვე სწავლობს ახმედ ხოზრევანიძე. მიმდინარე წლიდან წასასვლელად ემზადებიან მემედ ჯორმენაძე, იუსუფ ბოლქვაძე და სხვები.

* * *

მასალა საბჭოთა აჭარის 15 წლისთავის შესახებ შედგენილია „კომუნისტის" სპეციალური კორესპონდენტების — **ᲒᲔᲠᲛᲐᲜ ᲒᲘᲝᲠᲒᲐᲫᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲨᲐᲚᲕᲐ ᲤᲣᲠᲪᲮᲕᲐᲜᲘᲫᲘᲡ** მიერ.

ერთა ლიგის საბჭ.ს ღია სხდომა

ლონდონი, 16 მარტი. რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ, როგორც ერთა ლიგის წრეებში ფიქრობენ, ერთა ლიგის საბჭოს ღია სხდომა ხვალ შესდგება. ამ სხდომაზე გერმანია დაგმობილი იქნება ლოკარნოს ხელშეკრულების დარღვევისათვის. ლიგის საბჭოს შემდეგი სხდომა, ალბათ გაიმართება 23 მარტს ჟენევაში. გადაწყვეტილებას ამ საკითხზე მიიღებენ დღეს ერთა ლიგის საბჭოს საიდუმლო სხდომაზე (ადს).

○

ფლანდენის შეხვედრები ლონდონში

ლონდონი, 16 მარტი. რეიტერის სააგენტოს ცნობით, ფლანდენი დღეს შეხვდა ლიტვინოვს და რუმინეთის საგარეო მინისტრს ტიტულესკუს, სამხრეთ სლავიის დელეგატს ერთა ლიგაში პურიჩს და ესპანეთის საგარეო საქმეთა მინისტრს ბარსიას (ადს).

ესენიც

საბჭოთა აჭარის შვილნი არიან

შეხედეთ ამ სიცოცხლით სავსე გოგონებს და ვაჟებს, საბჭოთა აჭარის ბედნიერ შვილებს. მათ არ იციან მოწყენა, არ იციან რა არის შიმშილი, სიღატაკე—უმუშევარი ოჯახი, მათმა მამებმა და დედებმა ლენინ-სტალინის ხელმძღვანელობით დიდი ხანია აიყარეს მონობის ბორკილი და საბჭოთა დაზგებთან სჭედენ ახალ ბედნიერ ცხოვრებას...

ამ ცქრიალა ბავშვებს არაფერი აქვთ სადარდელი. საბჭოთა აჭარაში ლამაზი სუბტროპიკების და ციტრუსების მარად მწვანე ხეივნებში ისინი ლაღად დარბიან, იცინიან, მხიარულობენ; მათ არ უნახავთ მეფის დროის საფრთხობელა — გოროდოვოი. არ უნახავთ საპყრობილის კარებთან დედების ცრემლები.

ეს მოკისკისე ბავშვები იზრდებიან საბჭოთა სკოლებში.

ისინი ეწაფებიან სწავლას, მეცნიერებას, რომ ილოდეთ, სადამდე მიდის მათი საღი აზროვნება და გონება; უნდათ მალე გაიზარდონ — მართონ თვითმფრინავები, გემები, ორთქლმავლები, ავტომობილები, ტანკები, კრეისერები...

დღეს, საბჭოთა აჭარის 15 წლისთავზე ეს გოგონები და ვაჟები ასობით თავიანთ მეგობრებთან ერთად გაიძახიან:

გაუმარჯოს საბჭოთა აჭარას!
გაუმარჯოს დიდ სტალინს!

სურათზე: —მარცხნიდან მარჯვნივ: ხ. ნინიკაძე, დ. ბეჟანიძე, შ. დათუნაშვილი, მ. ხახუტაშვილი, ა. ბაჟელიძე, ქ. მესხიძე, ს. კოსტავა, ხ. ინაშვილი, ლ. მანველიშვილი, გ. ნოღაიდელი, მ. ცივაძე და მ. მახარაძე.

◇ ◇ ◇

იაპონიის ელჩი ზ. ოტა ამხ. სტომონიაკოვთან

მოსკოვი, 16 მარტი. 16 მარტს იაპონიის ელჩმა ზ. ოტამ ინახულა საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე ამხ. სტომონიაკოვი და იაპონიის მთავრობის დავალებით მიმართა მას შემდეგი წინადადებით:

1. სსრ კავშირის და მანჯოუგოს წარმომადგენელთა შემადგენლობით შესდგეს კომისია საბჭოთა კავშირ-მანჯურიის საზღვრის რედემარკაციისათვის ხანკის ტბასთან და მდინარე ტუმენ-ულანს შუა მდებარე უბანზე (საბჭოთა კავშირის, კორეის და მანჯურიის საზღვრების შესაყრთან). ამ წარმომადგენლებმა ერთად უნდა გამოიკვლიონ საზღვრის ხელშეკრულებათა სათუქმილზე არსებული ხაზი, შეამოწმონ სასაზღვრო ნიშნების მდგომარეობა და იქ, სადაც ეს საჭიროა, დასდგან ახალი ნიშნები, სანაპირო ნიშნებს შორის გაიყვანონ მავთულის ხლართები, ან გააკეთონ თხრილები, ხოლო ტყიან ადგილებში გააკეთონ განაჩეხები. ამასთან ზ. ოტამ მიუთითა ამხ. სტომონიაკოვის მიერ მისთვის 9 მარტს გაკეთებულ განცხადებაზე, რომ საბჭოთა მხარეს არაფერი აქვს რედემარკაციის საწინააღმდეგო იმ პირობით, თუ საზღვარზე უზრუნველყოფილი იქნება სიწყნარე და განაცხადა, იაპონიის მთავრობა ეთანხმება ამ განცხადებასო.

2. იმ შემთხვევაში, თუ საბჭოთა მთავრობა თანახმა იქნება შეუდგეს აღნიშნულ რედემარკაციას, იაპონიის მთავრობა მზად არის დაუყოვნებლივ მიიღოს საბჭოთა წინადადება, რომ შეიქმნას მუდმივი შერეული კომისია სასაზღვრო კონფლიქტების გასარჩევად საბჭოთა კავშირ-მანჯურიის საზღვრის იმავე უბანზე.

ამხ. სტომონიაკოვმა განაცხადა, რომ იაპონიის მთავრობის ეს წინადადებანი ეთანხმებიან საბჭოთა მთავრობის სურვილებს, მაგრამ იგი საჭიროდ სთვლის წინასწარ გამოარკვიოს — თანახმაა თუ არა იაპონიის მთავრობა, შორეულ-აღმოსავლეთში მშვიდობიანობის ინტერესების გულისათვის, მიიღოს ზომები, რათა ასეთივე კომისიები შეიქმნას მონღოლეთ-მანჯურიის საზღვარზე, ვინაიდან იგი ფიქრობს, რომ ამ პირობებში საბჭოთა მთავრობა კეთილ კმაყოფილებით შეხვდებოდა იაპონიის წინადადებებს.

ამას გარდა, ამხ. სტომონიაკოვმა ბ. ოტას ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ იმ მოლაპარაკების დროს, რომელიც ორივე მთავრობას შორის სწარმოებდა სასაზღვრო კომიტეტების შექმნის საკითხის შესახებ საზღვრებზე მომხდარი კონფლიქტების მოსაგვარებლად, მუდამ მხედველობაში ჰქონდათ, რომ ასეთი კომიტეტები შეიქმნებოდა მთელი საბჭოთა კავშირ-მანჯურიის საზღვრისათვის და არა მისი რომელიმე ცალკეული უბნისათვის.

ბატონი ოტა დაჰპირდა ამხ. სტომონიაკოვს, თქვენს განცხადებას ვაცნობებ იაპონიის მთავრობასო (ადს).

◇ ◇ ◇

საბჭოთა კავშირ-თურქეთის ოქმის სარატიფიკაციო სიგელების გაცვლა

მოსკოვი, 16 მარტი. 16 მარტს, საბჭოთა კავშირ-თურქეთის 1921 წლის 16 მარტის პირველი ხელშეკრულების 15 წლისთავზე, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატში სახალხო კომისრის მოადგილემ ამხ. ნ. ნ. კრესტინსკიმ და თურქეთის რესპუბლიკის ელჩმა ბატონმა ზექია აპაიდინმა ერთმანეთს გადასცეს 1935 წლის 7 ნოემბერს ანკარაში ხელმოწერილი იმ ოქმის სარატიფიკაციო სიგელები, რომლის მიხედვითაც 1945 წლის 7 ნოემბრამდე უგრძელდება ვადა 1925 წლის 17 დეკემბერს დადებულ ხელშეკრულებას საბჭოთა კავშირისა და თურქეთის რესპუბლიკას შორის მეგობრობისა და ნეიტრალიტეტის შესახებ (ადს).

□

საფრანგეთის უშიშროების პრობლემა

ნიუ-იორკი, 16 მარტი. „ნიუ-იორკ ჰერალდტრიბიუნში" პერტინაქსი აყენებს კითხვას: საფრანგეთის უშიშროება საფრანგეთ საბჭოთა კავშირის ხელშეკრულებაზეა დამოკიდებული თუ გერმანიასთან დაახლოვებაზე. პერტინაქსის სიტყვით, საფრანგეთმა საბჭოთა კავშირთან უნდა ითანამშრომლოს კომინტერნის მუშაობასთან დაკავშირებული საკითხების წამოუყენებლად, საბჭოთა მთავრობას, — აღნიშნავს პერტინაქსი, აშკარაა, — განზრახვა არა აქვს ჩაერიოს სხვა სახელმწიფოთა შინაურ საქმეებში.

„საფრთხე ჩვენი სოციალური სტრუქტურისათვის, — სწერს პერტინაქსი, — მდგომარეობს არა იმაში, რომ ჩვენი ქვეყნის უკმაყოფილო ელემენტები ბოლშევიკებს დაუკავშირდებიან, არამედ იმაში, რომ რევოლუციამ რუსეთში გადასწყვიტა მრავალი პრობლემა და შექმნა ისეთი სოციალური წყობილება, რომელიც აშკარა სიმტკიცით ხასიათდება".

საბოლოო ანგარიშით, ვინ წარმოადგენს ყველაზე მეტ საფრთხეს — გერმანია თუ საბჭოთა კავშირი, — აყენებს კითხვას პერტინაქსი და უპასუხებს: „პირადად მე და ფრანგი დიპლომატების უმრავლესობა ვფიქრობთ, რომ ყველაზე მეტ საფრთხეს გერმანია წარმოადგენს". საშიშია აგრეთვე იმის ფიქრი, — სწერს პერტინაქსი, რომ გერმანიას შეუძლია თავისი იმპერია მხოლოდ აღმოსავლეთით გაბატონებით და რომ მას იქ ნაპოლეონის ბედი მოელის. ეს მოხდება თუ გერმანია შეიჭრება შიგნით საბჭოთა კავშირის შუაგულში. მაგრამ ყველაზე მეტი საფრთხე ისაა, რომ გერმანია ნელ-ნელა დაიმორჩილებს აღმოსავლეთის ტერიტორიის პატარ-პატარა ნაწილებს და შემდეგ გაილაშქრებს დასავლეთის წინააღმდეგ. (ადს).

○

საფრანგეთის აღმოსავლეთ საზღვრის გამაგრება

პარიზი, 16 მარტი. გაზეთების ცნობით, დღის დილით პარიზი დასტოვა 2 ათასმა რეზერვისტმა საფრანგეთის აღმოსავლეთ საზღვარზე გარნიზონების გასაძლიერებლად (ადს).

◇

საკავშირო სტახანოვური დეკადა

რკინიგზებზე

80 ათასი ვაგონის ნაცვლად — 95.901

მოსკოვიდან მიღებული ცნობით, საბჭოთა კავშირის ყველა რკინიგზებზე საკავშირო სტახანოვური დეკადის პირველ დღეს, 15 მარტს, დაიტვირთა 95.901 ვაგონი, რაც გეგმის 126,2 პროცენტს შეადგენს. განიტვირთა 86.965 ვაგონი—გეგმის 111,8 პროცენტი.

დატვირთვის გეგმა გადაჭარბებით არის შესრულებული ყველა რკინიგზების მიერ.

პირველ ადგილებზეა: ოქტომბრის, ზაბაიკალიის, სტალინის, მოსკოვ-კურსკის, დონეცის, კიროვის ჩრდილოეთის და სამხრეთ-დასავლეთის გზები.

დეკადის მეორე დღეს, 16 მარტს, წინასწარი ცნობებით, დაიტვირთა 93,212 ვაგონი.

ა.-კ. რკინიგზაზე

სტახანოვური დეკადის მესამე დღეს, 17 მარტს, ამიერ-კავკასიის რკინიგზაზე დაიტვირთა 2022 ვაგონი და 970 ცისტერნა. გზის მთელი მუშაობა გამოიხატა 2992 სავაგონო ერთეულის დატვირთვაში.

გზამ გეგმა 137 პროცენტით შეასრულა.

წინ ისევ ტფილისის (მეორე) საექსპლოატაციო განყოფილება მიდის (უფროსი ამხ. გრ. კიკნაძე) 181 ვაგონის ნაცვლად განყოფილებამ 504 ვაგონი დატვირთა.

◇

კომუნალური მშენებლობა აბაშაში

აბაშაში გაცხოველებით მიმდინარეობს კაპიტალურ ნაგებობათა მშენებლობა. დაწყებულია აბანოს აგება, რომელიც დაჯდება 44.500 მანეთი. სას.-სამეურნეო ტექნიკუმის პირველი კორპუსის დასამთავრებლად გადადებულია 150.000 მანეთი. შემნახველ სალაროსათვის შენდება ახალი ბინა, რომელიც ჯდება 23.000 მანეთი.

გადაკეთდა საკვანძო რადიო-სადგური, რაზედაც დაიხარჯა 10.000 მანეთი. რადიო-სადგურს ახლა 30 კილოვატის სიმძლავრის ელექტრო-ქვესადგური აქვს.

დაწყებულია საშუალო სკოლის მშენებლობა, რომლის აგებაზე დაიხარჯება 80.000 მანეთი.

◇

ბათომი. სკვერი, ლენინის და კომინტერნის ქუჩების კუთხეში

◇

ქუჩების მოასფალტება

ფოთი, (საკ. კორ.) წელს ფოთში ქუჩების მოკირწყვლა - მოასფალტებისათვის სახელმწიფო ბიუჯეტით გადადებულია 200.000, ხოლო ადგილობრივი სახსრებიდან კი — 423.000 მანეთი.

უკვე დამთავრდა ლენინის პროსპექტის მოასფალტება (ქალაქიდან ნავსადგურამდე). ამჟამად სწარმოებს რუსთაველის ქუჩის რეკონსტრუქცია, რის შემდეგ მოხდება მისი მოასფალტება.

წელს მოასფალტდება აგრეთვე მახარაძის, კიროვის და აკ. წერეთლის ქუჩები. გარდა ამისა, ახალი ქუჩები და საწრეტი არხები გაყვანილი იქნება ნაბადას, ახალსოფლის და სხვა უბნებში.

◇

ახალი კინო-თეატრები

დამტკიცებულია სასოფლო კინო-თეატრების მშენებლობის გეგმა მიმდინარე წლისათვის.

ჭიათურაში გადაწყვეტილია აიგოს 550 ადგილიანი ახალი ხმოვანი კინო-თეატრი.

მახარაძის რაიონში იწყება ახალი კინო-თეატრის აგება 450 მაყურებლისათვის.

ახალი კინო-თეატრები შენდება გორში და სოფ. ლენინგორში (სამხ.-ოსეთი). გორის კინო-თეატრში იქნება 300 ადგილი, ხოლო ლენინგორისაში—100 ადგილი.

◇

6 ხმოვანი მოძრავი კინო ავტომობილებზე

საქკინომ ლენინგრადიდან მიიღო ორი ახალი ავტოხმოვანი მოძრავი კინო. წინათ მიღებულთან ერთად ამჟამად საქართველოში მუშაობს 6 ხმოვანი მოძრავი კინო ავტომობილებზე.

ერთ-ერთი ახლად მიღებული მოძრავი კინო იმუშავებს სამხრეთ-ოსეთის სოფლებში, მეორე გაიგზავნება ბორჯომის, ახალციხის და ახალქალაქის რაიონებში სოფლების მომსახურებისათვის.

რაშის გადამმუშავებელი ფაბრიკა

საკავშირო მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატმა აბაშაში დაიწყო რაშის გადამმუშავებელი ფაბრიკის მშენებლობა. ფაბრიკა რაშის ნედლი ღეროს გადამუშავების საქმეში მომსახურებას გაუწევს რაიონის ხუთ კოლმეურნეობას, ხოლო რაშის ხმელი ღეროს გადამუშავების მხრივ კი მთელ რაიონს.

საწარმო სიმძლავრით ფაბრიკას საქართველოში პირველი ადგილი ეკავება.

ფაბრიკის ასაგებად გადადებულია 120.000 მანეთი.

◇

ბრძოლა ექიმბაშობის წინააღმდეგ

ექიმბაშობას საქართველოში ბოლოს დროს თანდათანობით ბოლო ეღება, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ექიმბაშობა თავისთავად მოისპობა. ექიმბაშობის წინააღმდეგ საჭიროა ბრძოლა ყველა კანონიერი საშუალებით; ამ მიმართულებით საქ. ექიმთა საზოგადოების [illegible] რაიონის [illegible] მასობრივი ახსნა-განმარტებისა და სანიტარული განათლების ფართოდ გაშლასთან ერთად აქ მოეწყო 5 ექიმბაშის საჯარო გასამართლება. მათ ბრალი ედებოდათ სისხლის სამართლის კოდექსის 19[illegible] მუხლით. სასამართლომ ექიმბაში [illegible] ძნელაძე, რომელიც [illegible] მობდა, 300 მანეთით დააჯარიმა, [illegible]შვილი—100 მანეთით, მატრონა [illegible]ლაშვილი—300 მანეთით, ალექსი [illegible]შვილი—100 მანეთით, ხოლო [illegible] ერთი თვით იძულებითი მუშაობა [illegible].

ექიმბაშობის წინააღმდეგ [illegible] აგრეთვე სოფლის მასწავლებლები.

◇

ქრონიკა

— ტუბერკულოზის ინსტიტუტში (მელიქიშვილის ქ. 16) 19 მარტს საღამოს 8 ს. დანიშნულია საქ. ექიმთა საზოგადოების მორიგი სხდომა. დღის წესრიგშია: პროფ. გ. გ. ლაშხარაშვილის მოხსენება — „ტუბერკულოზი მშობიარობა" და ასისტენტ ლ. ფ. კიტიაშვილის მოხსენება, — „[illegible] ცვალებადობის შესახებ ბავშვთა კუჭის ზოგიერთი დაავადების დროს".

— ტფ. სახ. უნივერსიტეტის კლუბში 19 მარტს დღის 3 ს. გაიმართება სტუდენტ-დიპლომანტთა და პროფესორ-მასწავლებელთა საერთო თათბირი დიპლომანტების მუშაობის მიმდინარეობის შესახებ.

— მწერალთა სასახლეში 20 მარტს საღამოს 8 ს. დრამატურგთა სექცია მართავს დრამატურგ ს. შანშიაშვილის და ორდენოსან რეჟისორის მ. ჭიაურელის სცენარის „არსენა" კითხვას.

ხელოვნება

„აბესალომ და ეთერი"

[illegible] 19 მარტს [illegible] თეატრში [illegible] „აბესალომ და ეთერი".

[illegible] მთლიანად ქართული საოპერო სტუდიის ძალები. გუნდი, ორკესტრი და ბალეტიც სრულიად. ოპერა მიდის რეჟ. სახ. არტ. ალ. წუწუნავას ახალი დადგმით, მხატვარი პროფ. დ. შევარდნაძე, დირიჟორობს კონსერვატორიის ნიჭიერი სტუდენტი ალ. ნასიძე, ქორეოგრაფიული ნაწილი დამუშავებულია დ. ჯავრიშვილის მიერ.

პარტიებს მღერიან: აბესალომი— მ. ცაგურია, ეთერი —თ. [illegible], მურმანი — გ. ყიფიანი, აბიო — ს. კუპატაძე, ნათელა — თ. სულაკაშვილი, მარიხი — ქ. ტატიშვილი, თანდარუხი — კროვეცკი, ხიმი — ნ. თუშმიშვილი, მოძღვარი — ი. [illegible], დედოფალი —კვალიაშვილი.

„აბესალომ და ეთერი" შევა ოპერის თეატრის რეპერტუარში და იდგმება ყველა აბონემენტით.

„აბესალომ და ეთერი" პირველად დაიდგა ტფილისის სახელმწიფო თეატრის სცენაზე 1919 წელს, თექვსმეტი წლის განმავლობაში ოპერა 300-ჯერ მეტად დაიდგა. სხვადასხვა დროს მთავარ პარტიებს მღეროდნენ:

აბესალომს—ვ. სარაჯიშვილი, ნ. ქუმსიაშვილი, დ. ანდღულაძე,

ეთერს — [illegible], მანდენოვა, ბოკუჩავა, ბოკოლიშვილი, დანელიანი, მრავალი, [illegible], ზაქრევსკაია.

მურმანს — ს. ინაშვილი, ვენიძე, ქარცივაძე, ქაშაკაშვილი, ელიოზიშვილი, ამირანაშვილი.

„აბესალომ და ეთერის" პირველი დადგმა ეკუთვნის ალ. წუწუნავას. შემდეგ ის ხელახლა დადგეს კ. მარჯანიშვილმა და ა. ფალავამ.

„აბესალომ და ეთერის" პირველ სპექტაკლზე დირიჟორობდა ოპერის ავტორი ზ. ფალიაშვილი, შემდეგ სხვადასხვა დროს დირიჟორებად იყვნენ სტოლერმანი, ი. ფალიაშვილი, ე. მიქელაძე.

1931 წლის 18 ოქტომბერს „აბესალომ და ეთერი" დაიდგა ხარკოვის სახელმწიფო თეატრის სცენაზე უკრაინულ ენაზე. დადგმა განახორციელა რეჟისორმა ა. ფალავამ მხატვარ ს. ნადარეიშვილთან ერთად. სპექტაკლმა დიდი წარმატებით ჩაიარა.

მთავარ პარტიებს მღეროდნენ: აბესალომს — სერედა, ეთერს — [illegible], მურმანს — ბუღნევიჩი, დირიჟორობდა ველისენბერგი.

□

შემთხვევები

#**ქურდების შეპყრობა.** 16 მარტს საღამოს მოქ. ბ. ბელოვის ბინაში (ანტონოვის ქ. 2), ისარგებლა რა ღია კარებით, შეიპარა ქურდი, რომელმაც მძინარე ბელოვს გაუხსნა ჯიბე, რომელშიაც ჰქონდა 1.362 მანეთი. ქურდობის „ოპერაციის" დროს ბელოვს გაეღვიძა და ასტეხა ყვირილი. ყვირილზე მოცვივდნენ მეზობლები და ბოროტმოქმედი შეიპყრეს. დაკითხვისას ის ცდილობდა ბელოვის დაჭრას. ქურდი აღმოჩნდა უბინაო შ. ს. ალოევი.

იმავე დღეს ბოროტმოქმედების ადგილას შეიპყრეს მეორე ქურდი. მოქ. მ. შ. ტერ[illegible]შვილის სახლში არყოფნის დროს ბინაში (ამზენის ქ. 10) მორგებული გასაღების საშუალებით შეიპარა ქურდი, შეაგროვა ყველა ძვირფასი ნივთი, შეკრა, გამოვიდა ეზოში და აპირებდა წასვლას. ბინაზე დაბრუნებულმა ტერ[illegible]შვილმა შესძლო ქურდის დატყვევება, რომელიც აღმოჩნდა უბინაო და უპროფესიო ე. ა. პეპკოვი.

#**გაუფრთხილებლობის მსხვერპლი.** მე-4 მარშრუტის ტრამვაის ვაგონი, რომელსაც მართავდა ვატმანი ე. გ. ავაქოვი, პუშკინის ქუჩაზე დაეჯახა მოქ. მ. შამილოვს (საბჭოს ქ. 75) და სასიკვდილოდ დაშავა. ვატმანი შეიპყრეს.

◇

პარტკალენდარი

— საქ. პარტკონტროლის კომისიის პარტკოლეგია წინადადებას აძლევს ქვემოდ დასახელებულ ამხანაგებს: ივლიტი ზაქარიას ძე აბრამიშვილს (ჭიათურა), მიხეილ გიგოლის ძე გობიძეს (ბაღდადი), ინდაკ ბაგრატის ძე შირინიანს (წალკა), სერო მიხაილიანს, (წალკა), სერგეი [illegible] გეგლოვს (სტალინირი), გრიგოლ ბოლქვაძეს (ოზურგეთი), ფილიმონ სეპინიავს (ჩხოროწყუ), [illegible] გუგუშვილი (ონი), ლავრენტი მიხეილის ძე გორგოშიას (წალენჯიხა), გ. ი. [illegible] (ბაშური), სამი დღის განმავლობაში გამოცხადდნენ პარტკოლეგიაში (ცენტრ. კომიტეტის შენობა, პირველი სართული, ოთახი № 20).

რუსთაველის თეატრი 1935—36 წ. სეზონი

18 მარტს ღია წარმოდგენა	პლატონ კრეჩეტი
20 მარტს მე 8 აბონ. 6 წარ.	ს ა ლ ტ ე

სალარო ღია 11-2 6-9 საათამდე. დასაწყისი 7-ნახ. საათზე.

მარჯანიშვილის თეატრი

18 მარტს წარმოდგ. № 114	ჩამტეხილი ხიდი
20 მარტს წარმოდგ. № 115	რაც გინახავს, ველარ ნახავ

ბილეთები თეატრის სალაროში 11—2 6—9 ს.
ბავშვები და მოზარდები 17 წლამდე არ დაიშვებიან. დასაწყისი 7 ს. 30 წ.

ოქტომბერი 6-30, 8-30 10-30	დადგმის მე-4 კვირა ხმოვანი სურათი „დ ო ბ ი ლ ე ბ ი"
[illegible] 6-30 8-30, 10-30.	ხმოვანი კომედია „მხიარული ახალგაზრდობა"
რ. ლიუქსემბურგის სახ. 6-30, 8, 9-30, 11	ხმოვანი ამერიკ. ფილმი „უჩინარი ადამიანი" დღისით „ახალგაზრდობა იმარჯვებს"
„ზკ"-ის კომუნ. სახ. 6-30, 8-30 10-30	ხ მ ო ვ ა ნ ი ფ ი ლ მ ი „პ ე პ ო"
ქრონიკის თეატრი ახალი ამბები	ხმოვ. ჟურნალები № 4, № 5 „საბჭოთა ხელოვნება" (პლატონ კრეჩეტი)

საქფილარმონია ♦ რუსთაველის თეატრის დარბაზი ♦ 20 მარტი
სცენის ოსტატთა მესამე საღამო
უილიამ შექსპირი
იულიუს კეისარი (მონტაჟი)
გუცკოვი ურიელ აკოსტა ● გმირები
მონაწილეობენ: სახალხო არტისტები უშანგი ჩხეიძე, ალ. იმედაშვილი, გ. დავითაშვილი, დამსახ. არტისტი ვერიკო ანჯაფარიძე, არტისტები ხათ. მიმინაძე, პიერ კობახიძე, ხ. ზაქარიაძე.
დასაწყისი 8 ს. და 30 წ. ბილეთები იყიდება რუსთაველის თეატრის სალაროში.

19 და 21 მარტს, ხელოვნების ოსტატთა კლუბში (მახარაძის № 8)
საღამოს სრულ 8 საათზე შესდგება
მხატვართა შემოქმედებითი საღამო.
მიძღვნილი გაზ. „პრავდაში" მოთავსებულ სტატიების „ფორმალისტური დამახინჯებანი მხატვრობაში" და სხ. განხილვისათვის.
შესავალი სიტყვა საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის კულტურისა და განათლების განყოფილების გამგის ამხ. ვლ. მირცხულავასი. მომხსენებელი ამხ. ა. დუდუჩავა.
კამათში მონაწილეობის მისაღებად მოწვეულნი არიან ამხ. ს. კულიჯანოვი, ს. [illegible], ს. ჩიკოვანი, ტ. ტაბიძე, ბ. ჟღენტი, რ. თავაძე, ვ. ბუხნიკაშვილი, შ. მამალაძე, ელ. [illegible], ზ. [illegible], ვ. კროტკოვი, მ. თოიძე, ლ. გუდიაშვილი, კ. სანაძე, დ. კაკაბაძე და სხვ.
13441 საქ. საბჭოთა მხატვრების კავშირის [illegible].

საუნჯეზე ხელისმომწერთა საყურადღებოდ
საუნჯის პირველი ტომი უკვე გამოვიდა და ხელისმომწერთ—ქალაქ ბათომის მცხოვრებთ მისი მიღება შეუძლიათ
„ტექნიკა და შრომის" ბათომის მაღაზიაში
(მ. გორკის ქ. № 6) სათანადო ქვითრის წარმოდგენით.
82 2-1 „ტექნიკა და შრომა"

სახელგამი
გაიხსნა სასკოლო თვალსაჩინო იარაღების ახალი მაღაზია
იყიდება ყოველგვარი სასკოლო მოწყობილობა.
იარაღები სახელოსნოებისათვის და ლაბორატორიული მოწყობილობა.
83 პლეხანოვის პროსპ., № 67.

ს. ს. ს. რ. ჯანსახკომის
კურ. მთავ. სამმართველოს მიხა ცხაკაიას სახელობის კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის საკვლევო სამეცნიერო სახელმწიფო ცენტრალური ინსტიტუტი. ლენინის ქ., № 49. ტელ. 3-18-00.
ავადმყოფების მიღება ყოველდღე, გარდა გამოსასვლელი დღეებისა, დილით 9—2 საათამდე.
შინაგანი სნეულებანი, ქალთა სნეულებანი, ნერვული სნეულებანი საღამოს 5 საათიდან—9 საათამდე.
შინაგანი სნეულებანი.
ნერვული სნეულებანი.
ქირურგიული სნეულებანი.
ქალთა სნეულებანი.
ბავშვთა სნეულებანი.
კანისა და ვენერ. სნეულებანი.
თვალის სნეულებანი.
ყელ-ყურ-ცხვირის სნ.
პირის ღრუს და კბილების დაავადება.
კონსულტაცია ყველა სპეციალობაში, მკურნალობა როგორც ამბულატორიულად, ისე სტაციონარულად ყველა სახის ფიზიკური მეთოდებით:
ელექტროთერაპია.
დიათერმია.
სინათლის მკურნალობა.
რენტგენოდიაგნოსტიკა.
რენტგენოთერაპია.
მექანოთერაპია.
წყლით მკურნალობა.
ნახშირმჟავა აბაზანები.
ტალახით მკურნალობა.
ინჰალაცია.
სამკურნალო ფიზკულტურა.
ფიზიოთერაპიული პროცედურების კაბინეტები მუშაობენ დილით 9—2 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდე.
მიიღებიან აგრეთვე ფასიანი ავადმყოფები.
კონსულტანტები: პროფესორები ალადაშვილი, კონიაშვილი, მიქელაძე, ლაშხარაშვილი, მუხაძე, დოცენტები ჯავახიშვილი, ტყემალაძე, მიქელაძე, ექიმები: პონდოევი, იარალოვი. 70 6-4

ტფილისის ავტომატური ტელეფონის სადგურის დირექცია, პარტკომი და მუშკომი იუწყებიან წარმოების ძველი მუშის
გიორგი გელაშვილის
გარდაცვალებას. გამოსვენება დღეს, 2 საათზე, სომხის ბაზარი, 17. დაკრძალვა პეტროპავლეს სასაფლაოზე. 13444

ტფილისის ინდუსტრიული ტექნიკუმის დირექცია, პარტიული, კომკავშირული და პროფ. ორგანიზაციები იუწყებიან მეორე კურსის მსმენელის
შალვა ნიბურიშვილის
გარდაცვალებას. გამოსვენება დღეს, 4 ს. კ. მარქსის პირველი ჩიხი, 104. 13443

დედა ალექსანდრა, ძმები: ზაქარია, შალვა, არჩილ, და მერი, შვილი ოთარ იუწყებიან, რომ 18 მარტს 3 საათზე პეტროპავლეს სასაფლაოზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი.
სოფიო გიორგის-ასულ
ოსიდაშვილის
ხსოვნის აღსანიშნავად. 13431

ივანე, გაბრიელაძე, ანატოლი კიზირია, ისიდორე გვარჯალაძე, თარხან ჯაყელი, ათინოვე მენალარიშვილი, თამაზ თარბელიანი, პოლიკარპე გოგინაშვილი, მიხეილ ასათიანი, ბაკვა აფხაიძე, მაქსიმე ჩხატარაშვილი იუწყებიან ბიძინას მამის
აბათარ იაკობაშვილის
გარდაცვალებას. 13308

ქუთაისის აბრეშუმმრეწველობის ტექნიკუმის კოლექტივი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ამავე ტექნიკუმის სასწავლო ნაწილის გამგის
ამხ. გიორგი (ჟორა) ბერუჩაშვილის
გარდაცვალების გამო. დაკრძალვა 18 მარტს 5 ს. [illegible] სასაფლაოზე. 13411

დამწუხრებული სიმამრი ალექსი ნიქაბაძე, სიდედრი რაჩიელ, ცოლისძმა კოწია მეუღლით ნინოთი, ბიძები: სოლომონ, დავით ნიქაბაძეები ცოლშვილით, ლიდა და [illegible] იუწყებიან საყვარელი სიძის
[illegible] მელიტონის-ძე
ნანეიშვილის
დაკარგვას. 13399

„[illegible]" თანამშრომლები: ი. პაიჭაძე, ნ. გორდელაძე, ნ. გოროგობიანი, დ. ქვათაძე ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ ყველასათვის საყვარელ ადამიანის ხელმძღვანელის, ტრესტის მთავარი ბუღალტრის
ნიკო უკლებას
გარდაცვალების გამო. 13379

[illegible] შვილები: ზინა, [illegible], თამარ და ელენე, სიძე სიმონ რობაქიძე შვილებით იუწყებენ საზოგადოებას უძვირფასესი დედის
მართა ალექსის-ასული
[illegible]
დაკარგვას. დაკრძალვა ქ. [illegible] 19 მარტს. 13426

საგარეჯოს რაიონში მომუშავე ექიმები: [illegible], ბოლქვაძე, [illegible], მჭედლიშვილი, დავითაშვილი, ტატუაშვილი, ჯალიაშვილი, [illegible], ბოლქვაშვილი, გოგიაშვილი, დოლენკო, ჩხაიძე, ბერძენიშვილი მწუხარებით იუწყებიან ძვირფასი ადამიანის
პროფ. ალექსანდრე [illegible]
გარდაცვალებას. 13343

გორის ქუჩა № 21—23-ის მცხოვრებნი ღრმა მწუხარებით იუწყებიან საზოგადოებას ძვირფასი მეზობლის
ალექსანდრე (საშა) ქარაშიანცის
გარდაცვალებას. გამოსვენება 18 მარტს 5 ს. გორის, № 23. 13430

მშობლები: ელიოზა, თამარ ბუაძეები შვილით, ბაბილინა, დოდო, თინა, ბუჭა, კეკურა, შოთა, ოთარ ჯაფარიძეები იუწყებიან, რომ დღეს 2 ს. ვერის სასაფლაოზე დანიშნულია პანაშვიდი დაუვიწყარ
ცუგრუს
მოსაგონრად. 13428

შვილი ნიკოლოზ ცოლშვილით, ქალიშვილები: [illegible], ოლია და თამარ სვანიძეები ქმარშვილით, სიძე [illegible] შალამბერიძე, ქალიშვილი ნინოთი იუწყებიან საყვარელი დედის
ეფემია სვანიძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა სოფ. გუბში ([illegible]). 13425

ილარიონ, [illegible] ჭუმბურიძეები შვილებით: კონსტანტინე, ალექსანდრე, შალვა ოჯახებით იუწყებენ ნათესავ-ნაცნობებს დის და [illegible]
რესტან თევდორეს-ასულ
ჭუმბურიძე — ბობოხაძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 19 მარტს ს. საქარაში. 50

მაზლები: გრიშა და ვიქტორ, რძლები: მარო და თამარ შვილებით იუწყებიან ძვირფასი რძლის
ლენა ბარკალაია—რუხაძის
უდროოდ დაკარგვას. გამოსვენება დღეს 2 ს. საბურთალო, მეორე ახალშენის, № 13. 13434

დამწუხრებული შვილები: ვერა, ვანო, იოსებ, ვალოდია, რძლები: ნინო, თამარ, სიძე დათიკო [illegible] შვილიშვილებით იუწყებიან ძვირფასი
ოლღა იოსების-ასულ
ლეჟნიაშვილის
უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა ტფილისში [illegible], მახარაძის, 13. 13438

საქ. რევოლუციის მუზეუმის [illegible] იუწყება, რომ ა. წ. 13 მარტს გარდაიცვალა მუზეუმის თანამშრომელი
ვახო ბიჯაშვილი
გამოსვენება 18 მარტს, 4 საათზე, [illegible] მე-2 ჩიხიდან, 4. 13424

ღრმად დამწუხრებული შვილები: გიორგი, ალექსანდრე, ნიკოლოზ, თამარ, რძლები: ეკატერინე, სოფიო, შვილიშვილი კოტიკო იუწყებიან საყვარელი
დარო იაკობის-ასულ კალანდიას
გარდაცვალებას. [illegible] პანაშვიდი ყოველდღე, 7 საათზე, მალაკნის, 20. 13440

დამწუხრებულნი: შვილი ზინა შვილებით: ნუნუ, ლევანი, ვიქტორ, შალვა [illegible] იუწყებიან
მაკო სიმონის-ასულ ბაქრაძის
გარდაცვალებას. პანაშვიდი ხვალ 7 საათზე. გამოსვენება [illegible], 4, 5 საათზე. 13442

სტამბა „კომუნისტი". კამოს ქ. № 68.
მთავლიტის რწმუნებული 8364.